



ბანათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი  
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა  
უმადლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

სამართალი/Law, დოქტორანტურა

შპს - სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი: 23.06.2021 წ.

დასკვნის წარდგენის თარიღი: 30.07.2021 წ.

თბილისი

## ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ<sup>1</sup>

|   |   |
|---|---|
| დაწესებულების სახელწოდება<br>ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის<br>მიითითებთ | სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტი,<br>შპს |
| დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი  | 204426834                                   |
| დაწესებულების სახე  | უნივერსიტეტი                                |

## ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

|  |                   |
|--|-------------------|
| საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება  | სამართალი/Law     |
| უმაღლესი განათლების საფეხური   | დოქტორანტურა      |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია <sup>2</sup>   | სამართლის დოქტორი |
| დეტალური სფეროს დასახელება და კოდი   | სამართალი, 0421   |
| ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის<br>საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების<br>უფლების მიითითება<br>(მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-<br>სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის<br>მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში) |                   |
| სწავლების ენა  | ქართული           |
| ECTS კრედიტების რაოდენობა  | 56                |
| პროგრამის სტატუსი<br>(ავტორიზებული/აკრედიტებული/პირობით<br>აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია)<br>შესაბამისი გადაწყვეტილების მიითითებთ (ნომერი,<br>თარიღი)  | ახალი             |

## ექსპერტთა ჯგუფის წევრები

|  |  |
|--|--|
| თავმჯდომარე (სახელი, გვარი,<br>უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | ლევან ჯაყელი, სსიპ - ბათუმის შოთა<br>რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი,<br>საქართველო |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია,<br>ქვეყანა)       | თამარ ალექსიძე, თბილისის ივანე<br>ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო<br>უნივერსიტეტი,   |

<sup>1</sup> ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მიითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის

<sup>2</sup> უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით

|   |   |
|---|---|
|   | საქართველო  |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | დავით ელისაბედაშვილი, სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო                          |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | ნინო ქიმერიძე, სსიპ - თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | თათია უბერი, შპს - კავკასიის უნივერსიტეტი, საქართველო   |

### აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემადგამელი დასკვნა

#### ▪ ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

დაწესებულებამ სააკრედიტაციოდ წარმოადგინა ახალი სამართლის სადოქტორო პროგრამა. პროგრამაზე მუშაობა დაწყებულია 2019 წელს, დაწესებულების სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შესაბამისად. ამ მიზნით განხორციელებული იქნა: პარტნიორი უნივერსიტეტების გამოცდილების ანალიზი; 2. ქართული სადოქტორო პროგრამების ანალიზი; 3. ქართული კანონმდებლობისა და დოქტორანტურასთან დაკავშირებული მომწესრიგებელი სამართლებრივი აქტების ანალიზი; 4. ფოკუს ჯგუფებთან მუშაობა და მიღებული ინფორმაციის ანალიზი, რომლის შემდეგ (2020 წლის 31 დეკემბერს რექტორის #182-20 ბრძანებით) შეიქმნა თვითშეფასების ჯგუფი, რომელმაც უზრუნველყო მოპოვებული ინფორმაციის, პროგრამის პროექტის, სხვა სამართლებრივი აქტებისა და პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული საკითხების ანალიზი, საკვანძო საკითხების გამოკვეთა და პროგრამის აკრედიტაციისთვის მომზადება. ჯგუფის თითოეულ წევრს განაწილებული ქონდა შესაბამისი ფუნქციები და მოვალეობები.

პროგრამა ორიენტირებულია მაღალი კვალიფიკაციის მკვლევარის მომზადებაზე. ის შედგება სასწავლო (56 ECTS კრედიტისგან), რომელშიც 46 ECTS სავალდებულოა, ხოლო 10 ECTS არჩევითი და სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტებისგან. სავალდებულო სასწავლო კომპონენტები უზრუნველყოფენ სამართლის დოქტორის ისეთი საბაზისო უნარების ჩამოყალიბებას და განვითარებას, როგორც კრიტიკული, კომპლექსური, შედეგზე ორიენტირებული აზროვნება, კვლევითი უნარები და სხვ.. არჩევითი სასწავლო კომპონენტების მეშვეობით სტუდენტი უზრუნველყოფს საკუთარი ინტერესების შესაბამისად უნარების გაუმჯობესებას.

#### ▪ აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა

პროგრამაზე აკრედიტაციის ექსპერტთა ვიზიტი განხორციელდა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის “აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შექმნისა და შპს სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის „სამართლის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების შესახებ” 2021 წლის 07 ივნისს № 7 21 0000532018 ბრძანების შესაბამისად, 2021 წლის 23 ივნისს დისტანციურად. შეფასება განხორციელდა წინასწარ შეთანხმებული დღის წესრიგის მიხედვით. შესრულდა ყველა დაგეგმილი აქტივობა, ინტერვიუ და მონიტორინგი. დაწესებულებამ ჯეროვნად

უზრუნველყო აკრედიტაციის ჯგუფის მუშაობისთვის ყველა საჭირო ან მოთხოვნილი პირობის შესრულება.

ვიზიტის ბოლოს, იმავე დღეს ექსპერტთა ჯგუფმა უნივერსიტეტის წარმომადგენლებს გაუზიარა სამართლის სადოქტორო პროგრამის შესახებ ვიზიტის საფუძველზე ექსპერტთა ჯგუფის მიერ ჩამოყალიბებული ძირითადი მიგნებები.

შეფასების მიმდინარეობისას გაუთვალისწინებელ ან ხელისშემშლელ ფაქტებს/ექსცესებს ადგილი არ ჰქონია.

• **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

მოწოდებული მასალების/ინფორმაციის შესწავლა-შეფასების, ინტერვიუს, ასევე აკრედიტაციის შეფასების დროს მოპოვებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით და დაწესებულების 2021 წლის 28 ივლისის №510-03/21 წერილის სახით წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის (დასკვნის პროექტში მოყვანილ ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით შენიშვნები არ გამოთქმულა) გათვალისწინებით, ექსპერტთა ჯგუფს, შპს სულახან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის “სამართლის” სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის თაობაზე ექსპერტთა ჯგუფის მიერ დისტანციური მუშაობის მეშვეობით დადგინდა, რომ პროგრამა სრულად შესაბამისობაშია უმაღლესი განათლების სტანდარტთან:

| № | სტანდარტი   | შეფასება                     |
|---|---|------------------------------|
| 1 | საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან |
| 2 | სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა     | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან |
| 3 | სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა                                   | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან |
| 4 | სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა   | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან |
| 5 | სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები                                      | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან |

გამოკვეთილი იქნა ერთი რეკომენდაცია და რჩევები, რომელთა გათვალისწინება უნივერსიტეტის მხრიდან დადებითად აისახება სამართლის სადოქტორო პროგრამის განვითარებასა და ეფექტურ განხორციელებაზე.

▪ **რეკომენდაციები**

**4.1. სტანდარტთან მიმართებაში**

რეკომენდებულია დაწესებულებამ მკაფიოდ ჩამოაყალიბოს და დაადგინოს შესაბამის საუნივერსიტეტო სამართლებრივ აქტებში, აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის სემესტრულად განახლებადი დატვირთვის სქემის მომწესრიგებელი პროცედურები, რომელიც საშუალებას მისცემს მას დააბალანსოს პერსონალის დატვირთვა, მათი ფუნქცია-მოვალეობების გათვალისწინებით, ყველა იმ უსდ-ის მონაცემების გათვალისწინებით სადაც არის დასაქმებული.

▪ **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

### **1.1. სტანდარტთან მიმართებაში**

იმისათვის, რომ პროგრამამ იპოვოს საკუთარი ნიშა სადოქტორო პროგრამების კონკურენტულ ბაზარზე სასურველია უსდ-მ მოახდინოს „თემატური ბრენდირება“ - საწყის ეტაპზე სამართლის დოქტორანტურის ძლიერი მიმართულებების ირგვლივ რესურსის მობილიზება, რათა პოტენციური მსურველისთვის წინასწარ იყოს ცხადი პროგრამის ძლიერი მხარეები თემატური კომპეტენციის (მათ შორის ადამიანური რესურსის) თვალსაზრისით. პილოტური სახით, უმჯობესია თუ თავდაპირველი მიღებების კონცენტრაციის არეალი წინასწარ განისაზღვრება 2-3 ძირითადი მიმართულებით, რომლის პროგრამულ და მარკეტინგულ მხარდაჭერასაც უზრუნველყოფს უნივერსიტეტი.

### **2.1. სტანდარტთან მიმართებაში**

სასურველია პროგრამაზე დაშვების წინაპირობების შესახებ ინფორმაციის საჯაროობისა და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა მოწესრიგებული იყოს დოქტორანტურის დებულებით და გარკვეულწილად საგანმანათლებლო პროგრამაც შეიცავდეს/ავსებდეს შესაბამის ინფორმაციას.

### **2.4. სტანდარტთან მიმართებაში**

სასურველია გაძლიერდეს თანამშრომლობა ქართულ სამეცნიერო-კვლევით, საგანმანათლებლო და სხვა ორგანიზაცია/დაწესებულებებთან და გაფორმდეს შესაბამისი მემორანდუმები.

### **2.5. სტანდარტთან მიმართებაში**

მიზანშეწონილია დაზუსტდეს და უფრო კონკრეტულად გაიწეროს შესაბამის საუნივერსიტეტო აქტებში, აკრედიტაციის სტანდარტის მოთხოვნის თანახმად, საჭიროების შემთხვევაში სტუდენტის ინტერესებისა და აკადემიური მომზადების დონის შესაბამისად შედგენილი ინდივიდუალური პროგრამის შემუშავებისა და რეგულირების პროცედურები.

### **5.1. სტანდარტთან მიმართებაში**

გადაიხედოს და შეივსოს ინფორმაციით დაწესებულების ცალკეული მარეგულირებელი და პროცედურის აღმწერი წესი (რომელზეც მსჯელობა გვქონდა დესკრიფციულ ნაწილში უწინარეს ყოვლისა), რაც მნიშვნელოვანია ინსტიტუციის სამომავლო ცვლილებისათვის; ინსტიტუციაში ხარისხის კულტურის გაძლიერებისა და ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში მიმდინარე სიახლეებისა და გამოწვევების ინპლემენტაციის მიზნით სასურველია განათლების ქართველ და უცხოელ ექსპერტთა ჩართულობით მომზადდეს ვორკშოპები და სემინარები საგანმანათლებლო პროგრამაში მონაწილე აკადემიური და მოწვეული პერსონალის, სტუდენტებისა და დამსაქმებელთათვის.

# პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

## 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

### 1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული და რა წვლილი შეაქვს სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.

#### სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტი/საბაუნი დაარსდა 2002 წელს. 2021 წლის 02 აპრილს, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების [ავტორიზაციის საბჭოს №320269 გადაწყვეტილებით](#), დაწესებულებას 6 წლის ვადით მიენიჭა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების (უსდ) სტატუსი, (შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტი“) აგრეთვე განუახლდა სახელმწიფო ავტორიზაცია.

„სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის“ მისია გულისხმობს კულტურათა და თაობათაშორის დიალოგის წარმოებას, საზოგადოებრივი განვითარების ხელშეწყობას ადამიანის ღირსებისა და თავისუფლების პრინციპებზე დაფუძნებული სწავლა-სწავლების აგრეთვე ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერებების კვლევის უზრუნველყოფით. (იხ. უსდ-ს დებულება, მუხლი 3.1.). უნივერსიტეტი ახორციელებს საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამებს და საკვალიფიკაციო ჩარჩოს შესაბამისად ანიჭებს აკადემიურ ხარისხს/კვალიფიკაციას. (იხ. უსდ-ს დებულება, მუხლი 3.4.). დებულების თანახმად, ახალ საგანმანათლებლო პროგრამებსა და არსებულ საგანმანათლებლო პროგრამებში შესატანი ცვლილებების პროექტების შემუშავებაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულია ფაკულტეტი, რომელიც აკადემიურ საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგენს შესაბამის პროექტებს; (უსდ-ს დებულება, მ.12.(1)). ამჟამად უნივერსიტეტში სამი ფაკულტეტი და 7 კვლევითი ერთეული მოქმედებს. ფაკულტეტის დეკანი საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში ფაკულტეტის მასშტაბით ა) ხელმძღვანელობს სასწავლო და სამეცნიერო-კვლევით პროცესს, აგრეთვე კოორდინაციას უწევს და აკონტროლებს კვლევითი ერთეულების საქმიანობას. (იხ. უსდ-ს დებულება, მ.14.(4)(1)). 2009 წლიდან უსდ-ში მოქმედებს სამართლის ფაკულტეტი. ამავდროულად წლიდან სულხან-საბას სასწავლო უნივერსიტეტის სამართლის ფაკულტეტი ახორციელებს სამართლის საბაკალავრო პროგრამას, ხოლო 2014-2015 წწ-დან სამართლის სამაგისტრო პროგრამასაც.

უსდ-ს ხედვა ამბიციურია და მიზნად ისახავს საუკეთესო განათლების უზრუნველყოფით მსოფლიოს შეცვლას, „პიროვნული“ და „აკადემიური“ თავისუფალი



აზროვნების განვითარებით საზოგადოების გარდაქმნას, ცოდნის მიღებას, შექმნასა და გავრცელებას. ღირებულებათა შორის კი, მარეგულირებელი დოკუმენტების თანახმად, საბაუნის დეკლარირებული ორიენტირები შემდეგია: *თავისუფლება, პასუხისმგებლობა, შემოქმედებითობა, ხარისხი, ქრისტიანობა*. (იხ. უნივერსიტეტის ხედვა, ღირებულებები, სტრატეგიის დოკუმენტი). აღნიშნული ხედვის რეალიზაციის ერთ-ერთ საშუალებად საბაუნი სოციალური და ჰუმანიტარული მეცნიერებების მიმართულებით სადოქტორო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამების, მათ შორის სამართლის სადოქტორო პროგრამის განვითარებას მიიჩნევს. (იხ. *მიზანი 3*: აკადემიური სრულყოფილების მიღწევა საბაუნის საგანმანათლებლო პროგრამების გაფართოებისა და გაღრმავების გზით. ამოცანა 3.2.: სადოქტორო პროგრამების შექმნა და სასწავლო უნივერსიტეტიდან უნივერსიტეტად ტრანსფორმაცია; (3.2.)-ის შესაბამისი აქტივობა 4: სამართლის სადოქტორო პროგრამის აკრედიტაცია); (სამეცნიერო კვლევების განვითარების სტრატეგია, ხარისხის მიმართულება 1; განსახორციელებელი აქტივობები 2.1. დოქტორანტურა: მაღალი ხარისხის სადოქტორო პროგრამების განვითარება; გვ. 3, 2019 წ.)

სამეცნიერო-კვლევითი თვალსაზრისით, გრძელვადიანი, კონკურენტული უპირატესობის უზრუნველსაყოფად უნივერსიტეტმა კონცენტრირება უნდა მოახდინოს ახალგაზრდა, კვალიფიციური მკვლევარების განვითარებაზე, საგანმანათლებლო პროგრამებში კვლევის კომპონენტის ინტეგრირებასა და ინტერნაციონალიზაციის კომპონენტში საერთაშორისო სამეცნიერო საქმიანობის გაფართოებაზე. (სტრატეგია 2020-2026, მიზანი 4. ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის განვითარება და ხელშეწყობა მაღალი კვლევითი რეპუტაციის უზრუნველყოფით; ამოცანა 4.4: სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ინტერნაციონალიზაცია;) ამასთან, საბაუნის „მთავარი მიზანია ხარისხის უზრუნველყოფის ევროპულ სისტემაზე დაფუძნებული გაიდლაინის შესრულება, რომელიც ევროპული უმაღლესი განათლების სივრცის შეფასებას ეხება.“ (იხ. სტრატეგია 2020-2026, გვ. 11 ).

სამეცნიერო-კვლევითი აკადემიური საქმიანობის ეფექტიანობის საზომად, სადოქტორო პროგრამების (თეოლოგია, სამართალი) შემოდების პარალელურად, უსდ-ს სტრატეგია ითვალისწინებს სადოქტორო კვლევითი საქმიანობის მხარდამჭერი ერთეულის -სადისერტაციო საბჭოს ინსტიტუციონალიზაციას. (ამოცანა 3.2. აქტივობა 1: უნივერსიტეტის სადისერტაციო საბჭოს შექმნა). ხოლო „უნივერსიტეტის, როგორც ფუნდამენტური და/ან გამოყენებითი კვლევების/შემოქმედებითი საქმიანობის ინსტიტუციის განვითარების სტრატეგიის“ (შემდგომში, „სამეცნიერო კვლევების განვითარების სტრატეგია“, 2019წ.) სამი საბაზისო ორიენტირიდან პირველი მიმართულება -ხარისხის ორიენტირი - გულისხმობს კვლევითი საქმიანობის ხარისხის შეფასების ეფექტური მექანიზმების ჩამოყალიბებას, კვლევითი საქმიანობის ეფექტური მხარდამჭერი მექანიზმების შემუშავებას, სადოქტორო ნაშრომების შეფასებისა და დაცვის ეფექტური წესის შემუშავებას, აგრეთვე კვლევით კომპონენტებში საერთაშორისო ექსპერტების აქტიურ ჩართვას (მათ შორის, ნაშრომის რეცენზირებისა და სადისერტაციო საბჭოს წევრობის გზით). უსდ-ს დებულებით აგრეთვე გათვალისწინებულია სადოქტორო სკოლის არსებობა.

სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის მიერ თავდაპირველი

აკრედიტაციისათვის წარმოდგენილი სამართლის სადოქტორო პროგრამა მიზნად ისახავს სამართლის პრაქტიკისა და თეორიის აქტუალურ საკითხებზე სიღრმისეულ სამეცნიერო ანალიზს, შედეგზე ორიენტირებული კვლევის წარმოებას და ახალი ცოდნის შექმნას (A); სამართლის გამოწვევებზე ორიენტირებული სამეცნიერო კადრების (მკვლევარი, აკად. პერსონალი) მომზადებას; (B) ქართული და შედარებითი სამართლის განვითარებაში მონაწილეობას მაღალი ხარისხის სამეცნიერო ნაშრომების შექმნით (C).

მაშასადამე, სამართლის სადოქტორო პროგრამა ორიენტირებულია მიიღოს შედეგზე ორიენტირებული, თეორიული და პრაქტიკული ცოდნის სინთეზით აღჭურვილი, თვითგანვითარებაზე ორიენტირებული, კონკურენტურანიანი, სამართლის მკვლევარი, რომელსაც გააჩნია და პროგრამის განმავლობაში დამატებით განავითარებს არა მხოლოდ საგნობრივ კომპეტენციას, არამედ შესაბამის უნარებსაც რათა დამოუკიდებლად იმოღვაწეოს სამართლის აკადემიურ სფეროში და მის მიღმა. პროგრამის კურსდამთავრებულს დამატებითი ასპარეზი ეხსნება უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში, კვლევით ორგანიზაციებში, საერთაშორისო აკადემიურ გაერთიანებებში, ასევე, დოქტორის აკადემიური ხარისხი ავტომატურად ათავისუფლებს სანოტარო გამოცდისგან. (იხ. პროგრამა, გვ.4)

აღსანიშნავია, რომ კურსდამთავრებული გარკვეული ღირებულებითი კომპონენტის მატარებელიც ხდება აკადემიური თავისუფლების, სამართლის უზენაესობის და დემოკრატიული ფასეულობების მხრივ. ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანია პროგრამის ფარგლებში შექმნილი პროდუქტის ხარისხი, რომელიც თავად სამეცნიერო კვლევების მე-3 სტრატეგიული მიმართულების (გავლენის სფერო) მიხედვით, „უნდა გასცდეს უნივერსიტეტის საზღვრებს და მოიცვას საზოგადოება. კვლევითმა პროდუქტმა უნდა უზრუნველყოს სოციალური, ეკონომიკური და კულტურული სარგებლის შექმნა“... „უნივერსიტეტმა უნდა შექმნას ინტელექტუალური საკუთრება და მისცეს საზოგადოებას მისი გამოყენების შესაძლებლობა“ ... და სწორედ ეს არის უნივერსიტეტის ერთ-ერთი სოციალური პასუხისმგებლობა.“ (იხ. „სამეცნიერო კვლევების განვითარების სტრატეგია“, გვ.4).

საბაუნის სამართლის სადოქტორო პროგრამა (56 ECTS; ერთი კრედიტი = 25 ასტრონომიულ საათს) შედგება სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტებისგან. სასწავლო კომპონენტის მოცულობა 56 ECTS კრედიტია, რომელიც, თავის მხრივ, შედგება სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსებისგან. სავალდებულო სასწავლო კურსების კრედიტების ჯამური მოცულობაა 46 ECTS (კვლევის მეთოდები სამართალში, აკადემიური წერა და დისერტაციის არქიტექტონიკა, სწავლების თანამედროვე მეთოდები, პროფესორის ასისტენტობა, კვლევითი სემინარი სამართლის მეთოდებში, კვლევითი სემინარი შედარებით სამართალში) და ორიენტირებულია საბაზისო უნარ-ჩვევების განვითარებაზე, ხოლო არჩევითი სასწავლო კურსებისა - 10 ECTS (საუნივერსიტეტო კურიკულუმის შემუშავების პრინციპები, კვლევითი პროექტის დაგეგმვა და მართვა).. სასწავლო კურსები გადანაწილებულია 3 სემესტრზე, დოქტორანტმა პირველ სემესტრში უნდა დააგროვოს 15, მეორე სემესტრში - 26, ხოლო მესამე სემესტრში - 15 ECTS კრედიტი.

სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი გულისხმობს სადოქტორო დისერტაციის შესრულებას. სამეცნიერო-კვლევით კომპონენტზე მუშაობისას დოქტორანტი ასრულებს სამ კოლოკვიუმს - სამეცნიერო-ხელმძღვანელთან წინასწარი შეთანხმებით ამუშავებს



დისერტაციის ნაწილს. თითოეული კოლოკვიუმის დაცვისას დოქტორანტმა უნდა მიიღოს დადებითი რეკომენდაცია - დარგობრივი კომისიის უმრავლესობის მიერ კოლოკვიუმის დადებითი შეფასება. კოლოკვიუმის შესრულებისას დოქტორანტს არ ენიჭება კრედიტი და არ ფასდება რაიმე ქულით.

სადოქტორო ნაშრომის დაცვა შესაძლებელია მე-6 სემესტრში. სადოქტორო ნაშრომის დაცვასთან, ასევე, მის წინაპირობებთან და პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული საკითხები განისაზღვრება სულხან-საბა ორბელიანის რექტორის მიერ დამტკიცებული „სულხან-საბა ორბელიანის დოქტორანტურის დებულებით.“ წარმატებით დაცვის შემთხვევაში, დოქტორანტს ენიჭება კვალიფიკაცია სამართლის დოქტორი/Doctor Juris/Doctor of Law (Ph.D.) (იხ. პროგრამა)

სადოქტორო პროგრამის სამი მიზანი ერთიანდება საბოლოო შედეგის მისაღწევად, რომელიც გულისხმობს „კვალიფიციური მკვლევარის ჩამოყალიბება-განვითარებას“. პროგრამა ორიენტირებულია „იურისპრუდენციის გამოყენებითი სამეცნიერო ბუნებაზე“, სამართლის დინამიკურ გამოწვევებზე, აქცენტს აკეთებს ცოდნის გადაცემაზე - პედაგოგიურ ასპექტებზე (universitas), (თვითშეფასების დოკუმენტი, გვ.12).

სამართლის სადოქტორო პროგრამის თვითშეფასების ჯგუფი შეიქმნა 2020 წლის 31 დეკემბრის რექტორის N 182-20 ბრძანების საფუძველზე. ბრძანებით განისაზღვრა ჯგუფის შემადგენლობა: პროგრამის ხელმძღვანელი, ხარისხის მართვის სამსახური, უსდ-ს საერთაშორისო ურთიერთობების განყოფილების უფროსი, უსდ-ს იურისტი, ფინანსური მენეჯერი, ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის უფროსი, ბიბლიოთეკარი ჯგუფის ფორმირებისას უზრუნველყოფილ იქნა პროგრამაში ჩასართველი პერსონალის, სადისერტაციო საბჭო წევრების და დაინტერესებული ჯგუფების ჩართულობა. (თვითშეფასების დოკუმენტი გვ. 7-8). ინტერვიუების შედეგად გამოიკვეთა, რომ თვითშეფასების ჯგუფის წევრებს შორის კომუნიკაცია სათანადოდ გამართული და შედეგზე ორიენტირებულია. პროგრამის არსებულ და მომავალ გამოწვევებს შორის უპირველესად სამეცნიერო კვლევითი საქმიანობის და მის შედეგად მიღებული პროდუქტის ხარისხის კონტროლი (შესაბამისი თამასა), ასევე დოქტორანტების მოზიდვა, სამეცნიერო კვლევითი საქმიანობის მხარდაჭერა, მაღალრეფერირებად ჟურნალებში პუბლიკაციების უზრუნველყოფა და მეტი ინტერნაციონალიზაცია დასახელდა. აღსანიშნავია, რომ ამ მხრივ პროგრამული თამასა საკმაოდ მაღალი და ამბიციურია. ამ ეტაპზე შეუძლებელია იმის შეფასება, თუ რამდენად მიღწევადი, რადგან პროგრამა ახალია და ჯერ არ ჰყავს კურსდამთავრებული. ამ კომპონენტში აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრებს შესაძლებლობა ჰქონდათ მოეხდინათ მხოლოდ მაგისტრანტის ინტერვიუება, რომელმაც საბაუნის მაგისტრანტთა სახელით დაადასტურა დადებითი მოლოდინები პროგრამის მიმართ, აგრეთვე რამდენიმე სტუდენტის დოქტორანტურის პროგრამაში ჩართვისთვის მყისიერი მზაობა. პროგრამაზე ჩარიცხვის მამოტივირებელ გარემოებათა შორის აღინიშნა: უსდ-ს ფინანსური მხარდაჭერის მზაობა, ინტერნაციონალიზაციის ელემენტი, ელექტრონული ბიბლიოთეკის და წიგნადი ფონდის მდიდარი ბაზა, სტუდენტთა პიროვნული ინტერესებისა და შესაძლებლობების შესატყვისი ინტელექტუალური და პიროვნული განვითარებისათვის ჰარმონიული შიდასაუნივერსიტეტო გარემოს შექმნა, უსდ-ს სხვა რესურსები, რომელიც ადმინისტრაციის თანახმად, სადოქტორო პროგრამას ჯეროვნად მოხმარდება.

ჩატარებული სამუშაოს შედეგად გაიმართა სამართლის სადოქტორო პროგრამის დოკუმენტი. სადოქტორო პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას და ხედვას, აგრეთვე სტრატეგიული განვითარების გეგმებს. პროგრამის მიზნები კონკრეტული, მიღწევადი და გაზომვადია (თუმცა, სიახლის გათვალისწინებით, რიგ შემთხვევაში მეტად ამბიციურად). პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი უზრუნველყოფს მისი დეკლარირებული მიზნების მიღწევადობას, ხოლო ინდიკატორები (მათ შორის სტრატეგიებით გამყარებული) იძლევა დამდგარი შედეგების პრაქტიკული გაზომვის შესაძლებლობას. პროგრამის მთავარი პროდუქტი -სადისერტაციო ნაშრომი - პროგრამის რეალური ხარისხის თვალსაჩინო მაჩვენებელი იქნება. პროგრამა ხელმისაწვდომია დაინტერესებული აუდიტორიისათვის. უსდ-ს ვებ-გვერდზე ასევე მოიპოვება ყველა საჭირო რელევანტური დოკუმენტი (დებულება, სამეცნიერო კვლევების განვითარების სტრატეგია, უსდ-ს 7 წლიანი სტრატეგიული გეგმა, ა.შ.).

ექსპერტთა ჯგუფმა შეძლო დარწმუნებულიყო უსდ-ს ადმინისტრაციულ და ინფრასტრუქტურულ მზაობაში სამართლის სადოქტორო პროგრამისათვის. რაც შეეხება სადოქტორო პროგრამის შინაარსობრივ მხარეს, სტრუქტურული საკითხები მოწესრიგებულია, როლები განაწილებული, შედეგები მიღწევადი, შინაარსობრივი კომპონენტები, თეორიისა და პრაქტიკულობის თანაფარდობა ლოგიკური და თანმიმდევრული, თუმცა დამატებით სასურველი იქნებოდა უსდ-ს ეფიქრა პროგრამის მიერ დასამკვიდრებელ ნიშაზე სადოქტორო პროგრამების ბაზარზე (ამას მოწმობს დამსაქმებლებთან გასაუბრებაც. რათა ერთის მხრივ სტუდენტს ჰქონდეს ჯეროვანი წარმოდგენა კვლევითი სამუშაოსთვის დამახასიათებელი დისპროპორციული თეორიული კომპონენტის სიღრმეებზე, ხოლო მეორეს მხრივ დამსაქმებლებს ესმოდეთ, რომ დოქტორანტურის კურსდამთავრებული მხოლოდ „მეტი ცოდნის“ კი არა, სხვა ტიპის უნარ-ჩვევების მქონე კადრი უნდა იყოს. აღნიშნული განაპირობებს ანალიტიკური კვლევის მწარმოებლებთან (მათ შორის საჯარო სტრუქტურების შესაბამისი ანალიტიკური დეპარტამენტები) კურსდამთავრებულის კავშირს და ასევე მეტად გაზრდის ასეთი სამსახურების მოთხოვნას სადოქტორო პროგრამის კურსდამთავრებულებზე.

- ვფიქრობთ, ამ ეტაპზე, პროგრამის სიახლისა და ადამიანური რესურსების გათვალისწინებით თემატური თვალსაზრისით, მეტადაა გამოსაკვეთი ე.წ. „საგზაო რუკა“, რომელიც პროგრამას საკუთარი ინდივიდუალიზმს შესძენს, ბრენდს შექმნის და ადვილად აღქმადს-ცნობადს გახდის. ვგულისხმობთ ე.წ. „სავიზიტო ბარათის“ მიმართულებებს, სადაც უსდ-მ უნდა აარჩიოს თუ რომელ მიმართულებებზე კონცენტრირდება. მაგ. მასალებისა და პერსონალის გათვალისწინებით, აგრეთვე ინტერვიუებისას ცალსახად გამოიკვეთა რომ პროგრამის უდავოდ ძლიერი მხარეა საკონსტიტუციო სამართლის მიმართულება, სადაც კონცენტრირებულია ადეკვატური ექსპერტიზა, თაობათა აკადემიური, სამეცნიერო დიალოგი, პრაქტიკული გამოცდილება და საკვლევი თემატიკის მწყობრი ხედვა (მაგ. მმართველობის ფორმების შედარებით-სამართლებრივი კვლევა). სხვა მიმართულებებთან დაკავშირებით ასეთი ერთმნიშვნელოვანი პოზიციონირება არ გამოკვეთილა, თუმცა შესაძლოა არსებობდეს. ვფიქრობთ, პროგრამის საწყის ეტაპზე, სასურველი იქნება ე.წ. პილოტური მიმართულებების (2-3 მიმართულების) გამოყოფა და მათზე კონცენტრაცია, როგორც ეს გაკეთდა უსდ-ს მიერ სადოქტორო პროგრამების შერჩევის კუთხით ( თავდაპირველად

შეირჩა თეოლოგია და სამართალი). მომავალი განვითარება და პროგრამის მდგრადობა აჩვენებს დანარჩენი მიმართულებების განვითარების მიზანშეწონილობას. მოთხოვნისა და ადამიანური რესურსების ზრდასთან ერთად, აღნიშნულის კორექტირება მომდევნო ეტაპზე შესაძლებელია უსდ-ს ადმინისტრაციის და შესაბამისი პასუხისმგებელი ერთეულების/პირების ჩართულობით. ამასთან, არ არის აუცილებელი სპეციალური თემატური ნიშის ზედმეტი შემზღვეველი ფორმალიზაციისა, არამედ შესაძლოა აღნიშნული პრაქტიკაში განხორციელდეს, სადოქტორო პროგრამაზე მიღებისას პრიორიტეტული მიმართულებების კორექტირებით. ეს მოსაზრება ასევე ეხმიანება უსდ-ს 2020-2026 წწ. სტრატეგიით განსაზღვრულ გამოწვევებს, რომელთა თანახმად „საგანმანათლებლო ბაზარზე პროგრამების პოზიციონირება [ნიშა] და დიფერენცირებული საგანმანათლებლო პროდუქტების შეთავაზება უპრეცედენტო პერსპექტივას წარმოადენს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების განვითარებისა გრძელვადიან პერიოდში“. ამ დოკუმენტის თანახმად, ასევე ყურადსაღებია, რომ ყველა უნივერსიტეტს უკვე აქვს გარკვეული ნიშა და „ბაზარი თითქმის უცვლელია“. შესაბამისად, საინტერესო საკვლევ მიმართულების „ბრენდირება“ ბაზარსაც განაახლებს და უსდ-ს პოზიციონირებასაც მოხდენს მასზე. აქვე ვფიქრობთ, მიზანშეწონილი იქნებოდა საბაუნის სტრატეგიული დოკუმენტით განსაზღვრული *სტრატეგიული მიზნების, ამოცანების და აქტივობების ნაწილში* სფერო 1: კარგად გამოხატული იდენტობა და გავლენა საზოგადოებაზე, მიზანი 1: საბაუნის ბრენდის იდენტობის გამოკვეთა და გაძლიერება, მისი შესაბამისი აქტივობები და ეფექტიანობის ინდიკატორები დაკორექტირდეს, რათა ასახოს არა მხოლოდ მარკეტინგისა და კომუნიკაციის, აუდიო-ვიზუალური და კონტაქტური კამპანიის დეტალები, არამედ აგრეთვე მოცვას, ე.წ. „თემატური ბრენდინგი“ -გამოკვეთოს, თუ რატომაა პროგრამა უნიკალური და ტექნიკურ-ინფრასტრუქტურულ-ფინანსური საკითხების მიღმა რას მიიღებს სტუდენტი მხოლოდ საბაუნის სამართლის სადოქტორო პროგრამაზე არჩევანის შეჩერებით. დამატებით, სასურველია მომდევნო ეტაპზე გაანალიზდეს დოქტორანტთა ენობრივი კომპეტენციის პრაქტიკული შესაბამისობა შედარებით-სამართლებრივი კვლევის კონტექსტში, უცხოენოვანი წყაროების გამოყენების თვალსაზრისით. აღნიშნული სხვა ასპექტებთან ერთად მომავალში უზრუნველყოფს ინფორმირებულ პროგრამული გადაწყვეტილებებს პროგრამასთან მიმართებით.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- თვითშეფასების ანგარიში;
- ხარისხის უზრუნველყოფის სახელმძღვანელო;
- უნივერსიტეტის, როგორც ფუნდამენტური და/ან გამოყენებითი კვლევების/შემოქმედებითი საქმიანობის ინსტიტუციის განვითარების სტრატეგია (სამეცნიერო კვლევების განვითარების სტრატეგია, 2019 წ.);
- უნივერსიტეტის განვითარების სტრატეგიული გეგმა (2020-2026);
- სამართლის სადოქტორო პროგრამა;
- საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, განვითარების მეთოდოლოგია და მისი დამტკიცების წესი;
- უნივერსიტეტის სამართლის ფაკულტეტის საბჭოს ოქმები: #

|   |
|---|
| <ul style="list-style-type: none"> <li>• საგანმანათლებლო პროგრამის სილაბუსები;</li> <li>• უნივერსიტეტის ვებ-გვერდი;</li> <li>• აკრედიტაციის ვიზიტის დროს ჩატარებული ინტერვიუები.</li> </ul>   |
| <b>რეკომენდაციები:</b>  |
| <b>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</b> <ul style="list-style-type: none"> <li>• იმისათვის, რომ პროგრამამ იპოვოს საკუთარი ნიშა სადოქტორო პროგრამების კონკურენტულ ბაზარზე სასურველია უსდ-მ მოახდინოს „თემატური ბრენდირება“ - საწყის ეტაპზე სამართლის დოქტორანტურის ძლიერი მიმართულებების ირგვლივ რესურსის მობილიზება, რათა პოტენციური მსურველისთვის წინასწარ იყოს ცხადი პროგრამის ძლიერი მხარეები თემატური კომპეტენციის (მათ შორის ადამიანური რესურსის) თვალსაზრისით. პილოტური სახით, უმჯობესია თუ თავდაპირველი მიღებების კონცენტრაციის არეალი წინასწარ განისაზღვრება 2-3 ძირითადი მიმართულებით, რომლის პროგრამულ და მარკეტინგულ მხარდაჭერასაც უზრუნველყოფს უნივერსიტეტი.</li> </ul> |
| <b>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</b>  |
| <b>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</b>  |
| <b>შეფასება</b> <ul style="list-style-type: none"> <li><input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</li> <li><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</li> <li><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</li> <li><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</li> </ul>  |

|  |
|--|
| <b>1.2 პროგრამის სწავლის შედეგები</b>  |
| <ul style="list-style-type: none"> <li>➤ პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;</li> <li>➤ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;</li> <li>➤ შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.</li> </ul> |

### **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

თვითშეფასების ანგარიშისა და სამართლის სადოქტორო პროგრამის დოკუმენტის ანალიზიდან ჩანს, რომ სამართლის სადოქტორო საფეხურისთვის დადგენილი მიზნების მისაღწევად პროგრამა ითვალისწინებს ექვს სწავლის შედეგს. ყველა მათგანი შეესაბამება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებით დამტკიცებული, **განახლებული ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს და სწავლის სფეროების კლასიფიკატორს**, რომელიც, თავის მხრივ ეფუძნება ევროპული კვალიფიკაციების ჩარჩოს (EQF LLL) და ევროპის უმაღლესი განათლების სივრცის კვალიფიკაციების ჩარჩოს (QF-EHEA) მოთხოვნებს. „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს“ მიხედვით, სადოქტორო საფეხურზე სწავლა შეესატყვისება მე-8 დონეს, სადაც კვალიფიკაციის დონე წარმოადგენს ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოში კვალიფიკაციის სირთულის განმსაზღვრელ ელემენტს.

შესაფასებლად წარმოდგენილი პროგრამის პირველი **შედეგი ცოდნა/გაცნობიერებაზეა** ორიენტირებული. ამ კატეგორიაში წარმოდგენილი შედეგი (კერძოდ, აქტუალური სამართლებრივი თემატიკის განსაზღვრა, კვლევითი საჭიროებისა და შესაბამისი მეთოდების გამოკვეთა (A)), შეესაბამება კვალიფიკაციის ჩარჩოთი დადგენილ მოთხოვნას, შეიქმნას სწავლის ან/და საქმიანობის სფეროს უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნა, რომელიც არსებული ცოდნის გაფართოებისა თუ ინოვაციური მეთოდების გამოყენების საშუალებას იძლევა, მათ შორის, მულტიდისციპლინურ ან ინტერდისციპლინურ კონტექსტში. მოხდეს [სამართლის] სფეროს სისტემური და კრიტიკული გააზრება.

**სადოქტორო პროგრამის სწავლის მომდევნო სამი შედეგი (B, C,D) კონცენტრირდება კურსდამთავრებულის უნარებზე** და მოიცავს: სამართლის პრობლემურ საკითხებზე, კომპლექსური და სიღრმისეული დასკვნების შემუშავებას (B); სწავლების თანამედროვე მეთოდების გამოყენებით პედაგოგიური საქმიანობის წარმართვას (C); სამეცნიერო-კვლევით და აკადემიურ დისკუსიებში ჩართულობას სამართლისა და სამართალთან დაკავშირებული ინტერდისციპლინური სფეროების მიმართულებით (D). საბაუნის სადოქტორო პროგრამის დოკუმენტით დეკლარირებული შედეგები ეხმიანება მე-8 დონისათვის ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოთი განსაზღვრულ უნარებს, რაც გულისხმობს კონკრეტული დავალების შესრულებისა და პრობლემების გადაჭრისათვის შესაბამისი ცოდნის გამოყენების შესაძლებლობას, მათ შორის: ახალი, რთული და წინააღმდეგობრივი იდეებისა და მიდგომების კრიტიკულ ანალიზს, სინთეზს და შეფასებას, რითაც ხდება კომპლექსური პრობლემების გადაჭრისათვის სწორი და ეფექტური გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღება კვლევასა ან/და ინოვაციაში (შეესატყვისება მეორე პროგრამულ შედეგს (B)); არსებულ ცოდნასთან ურთიერთკავშირში ახალი ცოდნის დასაბუთებულად, გარკვევით წარმოჩენისა და გადაცემის უნარს კოლეგებისა და ფართო საზოგადოებისათვის (შეესაბამება მესამე პროგრამულ შედეგს (C)); ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე გამართულ თემატურ დისკუსიებში მონაწილეობის უნარს (თანხვედრილია მეოთხე პროგრამულ შედეგთან (D)). ზემოხსენებული კორელაცია უნარების ნაწილში სწავლის შედეგებს მიღწევადს, გაზომვადსა და მეტად შეფასებადს ხდის.

**დამატებით ორი შედეგი (E,F):** შედარებითსამართლებრივი მეთოდოლოგიის, სამართლის პირველადი და მეორეული წყაროების ანალიზის საფუძველზე მაღალი

დონის საკვალიფიკაციო და აკადემიური ნაშრომების შექმნა და პუბლიკაცია (E), აგრეთვე აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვით საკუთარი და მისივე ხელმძღვანელობით შექმნილ აკადემიურ/კვლევით პროდუქტზე პასუხისმგებლობის აღებით ქართული და შედარებითი სამართლის განვითარებაში მონაწილეობა (F)) **პასუხისმგებლობის და ავტონომიურობის** მიღწევას ემსახურება, რაც გულისხმობს ღირებულებებითა და დამოუკიდებლობის შესაბამისი ხარისხით პირის მიერ ცოდნისა და უნარების გამოყენებას. აღნიშნული თანხვედრაშია ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს შესაბამისი დონის აღმწერებთან - სწავლის შედეგებთან, რომელიც სადოქტორო საფეხურისთვის ითვალისწინებს აკადემიურ ან/და პროფესიულ კონტექსტში უახლეს მიღწევებზე დამყარებული კვლევითი პროექტების ან/და განვითარებაზე ორიენტირებული ღონისძიებების განხორციელებას ხელმძღვანელობითი, აკადემიური ან/და პროფესიული კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვით, ასევე ინოვაციურობისა და დამოუკიდებლობის დემონსტრირებით.

დამატებით აღსანიშნავია, რომ პროგრამის სწავლის შედეგები, რეგულირებადი პროფესიის სპეციფიკას ასახავს, აგრეთვე ითვალისწინებს სამართლის დარგობრივი მახასიათებლების არსებობას. პროგრამის მიერ დეკლარირებული სწავლის შედეგები კონკრეტული, მიღწევადი და გაზომვადია, თითოეული მათგანი შესაბამისი მოდულისა და კომპონენტების სასწავლო კურსების შედეგებს მოიცავს. კურსების შინაარსი და სპეციფიკა განსაზღვრავს სტუდენტისათვის აუცილებელი ცოდნის, უნარ-ჩვევების, ღირებულებების შექმნას და ეხმიანება პროგრამის მიზნებს.

პროგრამასთან ერთად ექსპერტებისთვის ხელმისაწვდომი არ იყო სწავლის შედეგების სამიზნე ნიშნულებისა და შეფასების გეგმის ცალკე დოკუმენტი. თუმცა ჩვენთვის ცნობილია სწავლის შედეგების მიღწევის მხრივ საბაუნის ავტონომიური ხედვის თაობაზე, რომლის თანახმადაც სულხან-საბას უნივერსიტეტში **სამიზნე ნიშნულების თითოეული სწავლის შედეგი მოწმდება შესაბამისი შედეგის საბოლოოდ უზრუნველყოფი კურსით**. მართალია, სწავლის შედეგების მიღწევა-დადგომაში ყველა სავალდებულო დისციპლინა/სასწავლო კურსი მონაწილეობს, თუმცა შედეგის მიღწევა იმის მიხედვით ფასდება თუ რომელი სასწავლო საგანი უზრუნველყოფს საბოლოო შედეგს. სადოქტორო პროგრამის დოკუმენტში მითითებულია, რომ **სადოქტორო პროგრამის სამიზნე ნიშნულების მიღწევად საერთო ჯამში ჩაითვლება სადოქტორო ნაშრომის წარმატებით დაცვა**. (იხ. სამართლის სადოქტორო პროგრამა, გვ.8, სქოლიო 1)

პროგრამის (სასწავლო კომპონენტის) სწავლის შედეგების სამიზნე ნიშნულებად მიჩნეულია ECTS-ის შეფასების (რანჟირების) სკალა, რომლის მიხედვით იმ სტუდენტებისთვის, რომლებსთვისაც სწავლის შედეგის საბოლოო შეფასება არის დადებითი, 10% იღებს A შეფასებას, მომდევნო 25% - B შეფასებას, შემდეგი 30% - C-ს, შემდეგი 25% - D-ს, და ბოლო 10% კი - E-ს. პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის დონე უმჯობესდება ყველა იმ შემთხვევაში, თუ შეფასების პროცენტული სიდიდე შეფასების დაბალ კატეგორიაში მცირდება და ამავდროულად, შეფასების მაღალ კატეგორიაში იზრდება.

სულხან-საბას უნივერსიტეტის სამართლის სადოქტორო პროგრამის თითოეული შედეგი გაზომვადია სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტებით, რომელიც ერთის მხრივ უზრუნველყოფილია პროგრამის სავალდებულო საგნებით, ხოლო მეორეს მხრივ ხორციელდება სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის რეალიზებით - სადოქტორო

|   |
|---|
| <p>დისერტაციის შესრულებით. აღნიშნული კომპონენტები უზრუნველყოფენ პროგრამით დეკლარირებული შედეგების მიღწევადობას. პროგრამული მიზნები და სწავლის შედეგები ურთიერთ-ჰარმონიულია.</p>   |
| <p><b>მტკიცებულებები/ინდიკატორები</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• სამართლის სადოქტორო პროგრამა;</li> <li>• თვითშეფასების ანგარიში;</li> <li>• ხარისხის უზრუნველყოფის სახელმძღვანელო;</li> <li>• აკრედიტაციის ვიზიტის დროს ჩატარებული ინტერვიუები;</li> <li>• უნივერსიტეტის განვითარების სტრატეგიული გეგმა 2020-2026;</li> <li>• საგანმანათლებლო პროგრამის სილაბუსები;</li> <li>• უნივერსიტეტის ვებ-გვერდი;</li> <li>• აკრედიტაციის ექსპერტის სახელმძღვანელო, 2019წ.</li> <li>• ზალცბურგის პრინციპები და რეკომენდაციები ერთიან ევროპულ საგანმანათლებლო სივრცეში სადოქტორო განათლების განვითარებისთვის (2005; 2010)</li> </ul> |
| <p><b>რეკომენდაციები:</b></p> <p style="text-align: center;">-</p>  |
| <p><b>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</b></p> <p style="text-align: center;">-</p>   |
| <p><b>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</b></p> <p style="text-align: center;">-</p>  |
| <p><b>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</b></p> <p style="text-align: center;">-</p>  |
| <p><b>შეფასება</b></p> <p><input checked="" type="checkbox"/> <u>შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</u></p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>   |



პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტი   | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|------------------------------|---------------------------------------|---|-------------------------------------|
| საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა | ✓                            |                                       |   |                                     |

## 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

### 2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.

#### სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა განსაზღვრულია უნივერსიტეტის 2021 წლის 21 აპრილის დოქტორანტურის დებულების დამტკიცების შესახებ №01-21 საოქმო გადაწყვეტილების მესამე თავით და საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი ნაწილით (გვ. 2). დოქტორანტურის დებულება ადგენს პროგრამაზე დაშვების ზოგად წესს, ხოლო დეტალური ინფორმაცია წარმოდგენილია შესაბამისი სადოქტორო პროგრამით. კერძოდ, სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი პროგრამით გათვალისწინებულია, რომ პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხი. დაზუსტებულია ასევე ის შემთხვევაც, როდესაც სამართლის მაგისტრის კვალიფიკაცია მოპოვებულია 120 ECTS/კრედიტზე ნაკლები. ასეთ შემთხვევაში კანდიდატს მოეთხოვება სამართლის ბაკალავრის აკადემიური ხარისხიც.

სულხან-საბა ორბელიანის სამართლის სადოქტორო პროგრამაზე დაშვებისათვის დადგენილია დარგობრივ კომისიასთან გასაუბრება და სამიდან ერთი ენის (ინგლისური/გერმანული/ფრანგული) B2 დონეზე ფლობის დადასტურება. უცხოურ ენაში ტესტირებისგან თავისუფლდება კანდიდატი, რომელიც წარმოადგენს B2 დონეზე სამიდან ერთი ენის ფლობის სერტიფიკატს (ალიარებას უზრუნველყოფს დაწესებულების ენების ცენტრი). ასევე უცხოურ ენაში ტესტირებისგან თავისუფლდება კანდიდატი, ვისაც მოთხოვნილ სამ ენაზე გავლილი აქვს ბაკალავრიატის ან მაგისტრატურის სრული ან არასრული კურსი.

პროგრამაზე დაიშვება ასევე მობილობით ჩარიცხვა წელიწადში ორჯერ. მობილობის მსურველმა უნდა დააკმაყოფილოს სადოქტორო პროგრამაზე დაშვებისათვის სავალდებულო ყველა წინაპირობა. უცხო ქვეყნის ალიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან პროგრამაზე პირის გადმოყვანის წესით ჩარიცხვა ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ვადებში და წესით.

დაწესებულების დოქტორანტურის დებულების მე-5 მუხლი ადგენს სადოქტორო პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველი პირის მიერ წარმოსადგენი დოკუმენტების ჩამონათვალს, პარამეტრებს და არსებით მოთხოვნებს (ცნობები სხვა დაწესებულებაში შესაბამის საფეხურზე სწავლის და სამსახურის შესახებ, აკადემიური და სამსახურეობრივი რეკომენდაციები და სხვ..

კანდიდატის მიერ დოკუმენტაციის განხილვისა და გასაუბრების საფუძველზე დარგობრივი კომისია კანდიდატს აფასებს 100 ქულიანი სისტემით (იხ. დებულების დანართი 1.2.) და რეკომენდაციით მიმართავს სადისერტაციო საბჭოს, რომლის თავმჯდომარე შუამდგომლობით მიმართავს რექტორს კანდიდატის პროგრამაზე

ჩარცხვის სამართლებრივი აქტის გამოცემის მიზნით. ჩარცხვის შესახებ ბრძანება მოიცავს ასევე ინფორმაციას დოქტორანტის ხელმძღვანელისა და თანახელმძღვანელების შესახებ. ბრძანების შემდეგ დოქტორანტთან იდება შესაბამისი ხელშეკრულება.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები შინაარსობრივად ითვალისწინებს პროგრამის სპეციფიკას, უზრუნველყოფს პროგრამის დასაძლევად აუცილებელი ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციის მქონე პირთა პროგრამაზე სასწავლებლად ჩართვას. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის შინაარსთან, სწავლის შედეგებთან და მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები მთლიანობაში შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას, რაც უზრუნველყოფილია რექტორის 2018 წლის 12 ივნისის №55-18 ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, განვითარების მეთოდოლოგია და მისი დამტკიცების წესის“ პირველი მუხლის 1.4.3 პუნქტით. დაწესებულება უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამების საჯაროობას და ხელმისაწვდომობას ვებგვერდის მეშვეობით. თუმცა, ყურადღებას იმსახურებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობების საჯაროობისა და ხელმისაწვდომობის მექანიზმის საკითხი დოქტორანტურის დებულებასა და უშუალოდ საგანმანათლებლო პროგრამაში. კერძოდ, არც დებულებაში და არც საგანმანათლებლო პროგრამაში არ იძებნება ინფორმაცია პროგრამაზე დაშვების წინაპირობების საჯაროობასა და ხელმისაწვდომობაზე პასუხისმგებელი პირის, განახლების ვადების, ხელმისაწვდომობის ინსტრუმენტების/ფორმების შესახებ. სასურველია აღნიშნული საკითხი დოქტორანტურის დებულებაში ზოგადი სახით ფორმალურ დონეზე მაინც იყოს მოწესრიგებული და ასევე საგანმანათლებლო პროგრამაც შეიცავდეს ინფორმაციას წინაპირობების საჯაროობისა და ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად, შესაბამისად არ იყოს მხოლოდ დაფუძნებული დაწესებულებაში დამკვიდრებულ პრაქტიკაზე.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- საგანმანათლებლო პროგრამა;
- დოქტორანტურის დებულება;
- საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, განვითარების მეთოდოლოგიისა და მისი დამტკიცების წესი;
- დაწესებულების სამართლის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- დაწესებულების ვებგვერდი: <https://sabauni.edu.ge/ka>

**რეკომენდაციები:**

-

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- სასურველია პროგრამაზე დაშვების წინაპირობების შესახებ ინფორმაციის საჯაროობისა და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა მოწესრიგებული იყოს დოქტორანტურის დებულებით და გარკვეულწილად საგანმანათლებლო

|  |
|--|
| პროგრამაც შეიცავდეს/ავსებდეს შესაბამის ინფორმაციას.  |
| საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):  |
| -  |
| მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)  |
| -  |
| შეფასება   |
| <input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

**2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი**

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

დაწესებულებაში შემუშავებულია და მოქმედებს რექტორის 2018 წლის 12 ივნისის №55-18 ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, განვითარების მეთოდოლოგიისა და მისი დამტკიცების წესი“ (განახლებულია რექტორის 26 აპრილის №86-21 ბრძანებით). მასში განსაზღვრულია პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებული ზოგადი მოთხოვნები, საფეხურების მიხედვით პროგრამის თავისებურებები, შემუშავებისას გასათვალისწინებელი ასპექტები, ცვლილების განხორციელების წესები, საკრედიტო სისტემის (ECTS) მარეგულირებელი ნორმები, სხვა ტექნიკური და კონცეპტუალური საკითხები. აღნიშნული წესის დანართები დეტალურად აწესრიგებენ ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს როგორცაა: პროგრამის სტრუქტურა, სასწავლო გეგმა, პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა, პროგრამის სავალდებულო სასწავლო კურსებისა და სწავლის შედეგების რუკა, სასწავლო კომპონენტების სილაბუსის ფორმა, პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გეგმა, ინფორმაცია ადამიანური რესურსების შესახებ.

საკრედიტაციო ვიზიტის განხორციელებისას შემოწმებული იქნა საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების პროცედურის ეფექტურობა. გაანალიზებული იქნა პროგრამის შემუშავების პროცესში წარმოებული

საბუთები, შეფასებული იქნა მათი შესაბამისობა ზემოთ აღნიშნულ პროცედურასთან. ინტერვიუების მეშვეობით გადამოწმებული იქნა მოქმედი მარეგულირებელი აქტისადმი ყველა დაინტერესებული პირების ხელმისაწვდომობა, ცნობადობა და გამოყენებადობა.

„საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, განვითარების მეთოდოლოგიისა და მისი დამტკიცების წესის“ მე-3 მუხლის თანახმად პროგრამის შემუშავების პროცესში ჩართული უნდა იყვნენ აკადემიური პერსონალი, სტუდენტები/კურსდამთავრებულები (არსებობის შემთხვევაში), უნივერსიტეტის ადმინისტრაციული პერსონალი და დამსაქმებლები. პროგრამა დამტკიცებამდე გადის ხარისხის მართვის სამსახურის შემოწმებას, რომლის დადებითი დასკვნის შემთხვევაში განსახილველად გადასცემს ფაკულტეტის საბჭოს და რომელიც თავის მხრივ, მოწონების შემთხვევაში პროგრამას დასამტკიცებლად გადასცემს აკადემიურ საბჭოს. გადაწყვეტილება ეცნობება შესაბამისი სტრუქტურულ ერთეულს, რომელიც პასუხისმგებელია შემდგომ პროცესებზე.

საკრედიტაციოდ წარმოდგენილი პროგრამის თანდართულ მასალებში წარმოდგენილია სამართლის საგანმანათლებლო პროგრამების, სხვადასხვა სამიზნე ჯგუფების შეფასების შედეგები, რომლებშიც იკვეთება მოქმედი მარეგულირებელი აქტის ეფექტური მოქმედება. მკაფიოდ ჩანს ფაკულტეტისა და უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურების კომპლექსური, თანმიმდევრული და ეფექტური მუშაობა.

სტრუქტურული და შინაარსობრივი ელემენტები შეესაბამება წარმოდგენილი მარეგულირებელი აქტის პირობებსა და მოთხოვნებს. დაცულია სტრუქტურა, პროცედურული წესები, განხორციელებული სააკრედიტაციო, შიდა და გარე შეფასების დებულებით გათვალისწინებული მოთხოვნები.

პროგრამა აგებულია საქართველოს უმაღლესი განათლების შესახებ კანონის, კვალიფიკაციათა ეროვნული ჩარჩოსა და ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემის შესაბამისად (ECTS). სტრუქტურულად და შინაარსობრივად პროგრამა ჩამოყალიბებულია ორ ნაწილად, სასწავლო და კვლევით კომპონენტებად. სასწავლო კომპონენტი მოცემულია კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნების მიხედვით ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემის შესაბამისად (ECTS) სახით და მოიცავს 56 (ECTS) კრედიტ სასწავლო კომპონენტს, რომელიც შედგება სავალდებულო 46 (ECTS) კრედიტი და არჩევითი 10 (ECTS) კრედიტისგან. სასწავლო კურსები განაწილებულია 3 სემესტრზე, დოქტორანტმა პირველ სემესტრში უნდა დააგროვოს 15, მეორე სემესტრში 26, ხოლო მესამე სემესტრში 15 (ECTS) კრედიტი. სამართლის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტი წარმოდგენილია სასწავლო კურსების, სადოქტორო სემინარებისა და პროფესორის ასისტენტობის სახით.

სამართლის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტია სადოქტორო დისერტაცია. დისერტაციის დაცვამდე დოქტორანტი ასრულებს სამ კოლოქვიუმს, რაც გულისხმობს სამეცნიერო ხელმძღვანელთან წინასწარი შეთანხმებით დისერტაციის ნაწილის დამზავებას, დაწერასა და დარგობრივი კომისიის წინაშე განხილვას. თითოეული კოლოქვიუმი ექვემდებარება შეფასებას კომისიის რეკომენდაციის სახით, რაც არ გამოიხატება ქულებში. კოლოქვიუმის შესრულება არ გამოიხატება კრედიტებში. სადოქტორო დისერტაციის დაცვა შესაძლებელია მე-6 სემესტრში. დაწესებულების დოქტორანტურის დებულებით დადგენილია დამატებითი სავალდებულო კვლევითი კომპონენტები, რომელიც დოქტორანტმა უნდა შეასრულოს

სადისერტაციო ნაშრომის გარდა (მე-11 მუხლი). დოქტორანტის ორგანიზებულ საქმიანობა უზრუნველყოფილია ინდივიდუალური სასწავლო და კვლევითი გეგმებით (დებულების VI თავი).

პროგრამის თავისებურებების გათვალისწინებით, სავალდებულო და არჩევითი კომპონენტების ურთიერთდამოკიდებულებისა და ლოგიკური კავშირის გათვალისწინებით, პროგრამის მიზნებისა და შედეგების მიღწევის უზრუნველსაყოფად და შესაბამისად, სადისერტაციო ნაშრომის დაცვაზე დასაშვებად დოქტორანტურის სტუდენტმა უნდა დაადასტუროს სასწავლო კომპონენტების შესრულება, მისი ავტორობით ან თანაავტორობით სადისერტაციო თემაზე შესრულებული სამეცნიერო კვლევის ძირითადი შედეგების ამსახველი და დებულების შესაბამისად სამეცნიერო ნაშრომების გამოქვეყნება, სამეცნიერო ფორუმების, სემინარების და კონფერენციების მასალები.

ზოგადად პროგრამის სტრუქტურა, სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კომპონენტების ურთიერთმიმართება, რიგ შემთხვევაში ავტონომიურობა ამარტივებს პროგრამით გათვალისწინებული მიზნებისა და შედეგები მიღწევას. პროგრამაში შემავალი სასწავლო კომპონენტები არის თანმიმდევრულად და ლოგიკურად არის დალაგებული, რაც უზრუნველყოფს შემდგომ კომპონენტზე დაშვების ადეკვატურობას.

თითოეული სასწავლო კურსის/მოდულის შინაარსი შეესაბამება დასახულ მიზნებსა და სწავლის შედეგებს. თითოეული სასწავლო კურსის/მოდულის სწავლებისა და სწავლის მეთოდები ადეკვატურია დასახულ მიზნებსა და სწავლის შედეგებთან მიმართებაში.

სასწავლო კომპონენტების სილაბუსებში მკაფიოდ არის გამოიჯნული სავალდებულო და დამატებითი ლიტერატურა, რომლებშიც მითითებულია უახლესი წყაროები. სააკრედიტაციო განაცხადის თანდართული მასალებიდან ირკვევა, რომ დაწესებულება ყოველწლიურად უზრუნველყოფს პროგრამის საჭიროების მიხედვით ძირითადი სასწავლო და ცალკეული დამატებითი, დამხმარე სასწავლო მასალების შესყიდვას/განახლებას. გარდა ამისა პროფესორ მასწავლებლების პერსონალური ბიოგრაფიული მონაცემებიდან (CV-დან) და ბოლო 5 წლის განმავლობაში სამეცნიერო პუბლიკაციებიდან ჩანს, რომ სწავლება ხორციელდება უახლესი ინფორმაციის დამუშავების, კვლევის შედეგად მიღებული აქტუალურ ცოდნაზე დაყრდნობით.

პროგრამის შინაარსის, სასწავლო კურსების მოცულობის, კომპლექსურობის, ანალიზი ცხადყოფს, რომ უზრუნველყოფილია მათი თავსებადობა პროგრამაზე დაშვების წინაპირობებთან, რაც იძლევა საფუძვლიან მოლოდინს, რომ პროგრამის წინაპირობის დამლევის შედეგად ჩარიცხული პირისთვის პროგრამა დამლევადია.

პროგრამაში ინტეგრირებული (პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების) რუკები ნათლად წარმოაჩენს თითოეული მიზნის, შედეგის, სასწავლო კომპონენტის სიღრმის გათვალისწინებით მიღწევის შესაძლებლობას.

რექტორის 2018 წლის 12 ივნისის №55-18 ბრძანების მე-4 მუხლის თანახმად პროგრამის ცვლილების საფუძველია პროგრამის შიდა ხარისხის მექანიზმებით გათვალისწინებული სისტემური შეფასებების შედეგად გამოვლენილი მიგნებები, პროგრამის გარე შეფასება, სტუდენტთა, კურსდამთვარებულთა ან სხვა დაინტერესებულ პირთა უკუკავშირის შედეგად მიღებული მონაცემები. სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი პროგრამის დანართები, რომელიც ეხება პროგრამის განვითარების მიზნით ჩატარებული გამოკითხვის ფაქტის და შედეგების გამოყენების დადასტურებას, ნათლად მეტყველებს,

რომ ხდება დაინტერესებული პირების გამოკითხვა და შედეგების ანალიზი და მიღებული შედეგები გამოიყენება პროგრამის განვითარებისთვის.

საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების და დამტკიცების წესი არის საჯარო და გამჭვირვალე, ხოლო პროგრამის შემდგომ სრულყოფაში (ისევე როგორც დაგეგმარება-შემუშავების პროცესში) მონაწილეობენ დაინტერესებული მხარეები (სტუდენტები, აკადემიური პერსონალი, კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები), პროგრამის ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები/ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი.

პროგრამის მიზნებით დასახულია ნიშნულები: სამართლის პრაქტიკისა და თეორიის აქტუალურ საკითხებზე სიღრმისეული სამეცნიერო ანალიზი, შედეგზე ორიენტირებული კვლევა და ახალი ცოდნის შექმნა; სამართლის დინამიკურ გამოწვევებზე ორიენტირებული მკვლევარებისა და აკადემიური პერსონალის მომზადება და მაღალი ხარისხის სამეცნიერო ნაშრომების შექმნით ქართული და შედარებითი სამართლის განვითარებაში წვლილის შეტანა. აღნიშნულის მისაღწევად პროგრამის სტრუქტურაში გათვალისწინებულია სასწავლო და კვლევითი კომპონენტები, აქტივობები (კვლევის მეთოდები, სწავლების თანამედროვე მეთოდები, პროფესორის ასისტენტობა, კვლევითი სემინარები და სხვ.) რომლებიც სავალდებულო და არჩევითი სტატუსით, ორიენტირებული არიან შესაბამისი მიზნების/შედეგების მიღწევაზე.

გარდა ზემოთ აღნიშნულისა, დაწესებულებაში არსებობს დაინტერესებულ პირთა (სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა, დამსაქმებელთა, აკადემიური პერსონალის და სხვ.) გამოკითხვის ინსტრუმენტები, საიდანაც ირკვევა თუ: რამდენად მიღწევადია ამა თუ იმ სასწავლო კურსის შედეგები მათზე დაშვების წინაპირობების გათვალისწინებით; ხომ არ ყოფილა განსაკუთრებულად რთული რომელიმე სასწავლო კურსის ათვისება იმ მიზეზით, რომ სტუდენტს არ გააჩნდა აუცილებელი ცოდნა და პრაქტიკული უნარები.

მთლიანობაში, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სავალდებულო და არჩევითი კომპონენტები, მათი მოცულობა, თანმიმდევრობა, ბალანსი და კომპლექსურობა შეესაბამება სწავლების სადოქტორო საფეხურს, შესაბამისობაშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

დაწესებულება ვებგვერდისა და სხვა ხელმისაწვდომი (შიდა ელექტრონული პორტალის, სოციალური, სხვა საშუალებებით) ქსელების მეშვეობით უზრუნველყოფს პროგრამის შესახებ ინფორმაციის საჯაროობასა და ხელმისაწვდომობას.

### **მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- საგანმანათლებლო პროგრამა;
- დოქტორანტურის დებულება;
- საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, განვითარების მეთოდოლოგიისა და მისი დამტკიცების წესი;
- დაწესებულების სამართლის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- ფოკუს ჯგუფების გამოკითხვები და ანგარიშები;
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები, შეფასების შედეგები და მათი გამოყენების წესი;
- ინტერვიუს შედეგები;



|   |
|---|
| <ul style="list-style-type: none"> <li>დაწესებულების ვებგვერდი: <a href="https://sabauni.edu.ge/ka">https://sabauni.edu.ge/ka</a></li> </ul>  |
| რეკომენდაციები:   |
| -   |
| რჩევები პროგრამის განვითარებისთვის  |
| -   |
| საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):   |
| -   |
| მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)   |
| -   |
| შეფასება  |
| <p><input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p> |

|   |
|---|
| <b>2.3. სასწავლო კურსი</b>  |
| <ul style="list-style-type: none"> <li>➤ ძირითადი სფეროს თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის/საგნის/მოდულის/კონცენტრაციის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;</li> <li>➤ სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.</li> </ul>   |
| <p><b>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</b></p> <p>სამართლის სადოქტორო პროგრამის თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსში მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული კურსის მიზანი, მიზნის შესაბამისად განსაზღვრულია საგნის შინაარსი და სწავლის შედეგები. სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის 6 სწავლის შედეგს. სადოქტორო პროგრამა არ ეფუძნება კრედიტების ერთგვაროვან გადანაწილებას, არამედ ინდივიდუალიზებულია კურსების სპეციფიკის გათვალისწინებით.</p> <p>სამართლის სადოქტორო პროგრამის სილაბუსი შედგება შემდეგი კომპონენტებისგან: სასწავლო კურსის დასახელება, სასწავლო კურსის სტატუსი, სწავლების ენა, წინაპირობა, სასწავლო კურსის განმახორციელებელი, სტუდენტის სასწავლო დატვირთვა, სასწავლო კურსის მიზანი, სწავლის შედეგები, სწავლა-სწავლების მეთოდი, სწავლის შედეგების</p> |

მიღწევის დონის შკალა, სასწავლო კურსის შინაარსი, შესაბამისი ლიტერატურის (სავალდებულო/დამატებითი) მითითებითურთ.

თითოეული სასწავლო კურსი ლოგიკურად არის ორგანიზებული, რაც ნათლად ჩანს პროგრამის სტრუქტურასა და კურიკულუმის რუკაზე. პროგრამაში კრედიტების დაანგარიშების წესი ემყარება, არა მხოლოდ, სტუდენტის მიერ პროფესორ-მასწავლებელთან სასწავლო გარემოში გატარებულ საათებს, არამედ იგი ასახავს სამუშაოს იმ მოცულობას, რომელიც საჭიროა კონკრეტულად რომელიმე კომპონენტის დასასრულებლად. თითოეული კურსის კრედიტების რაოდენობას, ინდივიდუალური სპეციფიკის გათვალისწინებით, განაპირობებს კურსის ეფექტიანად განხორციელებისთვის საჭირო „საათობრივი თუ კოგნიტური დანახარჯი“ (იხ. თვითშეფასების დოკუმენტი, გვ. 18). კრედიტის მოცულობის გამოანგარიშება ხდება საშუალო აკადემიური მიღწევების მქონე სტუდენტის დატვირთვის რეალური, „გონივრული“ შეფასებით.

კურსის შეფასებაში გამოიყენება მრავალფეროვანი შეფასების სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს სტუდენტის ჩართულობას სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას. სწავლა-სწავლების მეთოდებიდან გამოიყენება ლექცია, პრაქტიკული მუშაობა, სემინარი, ელ. რესურსებით სწავლება, აგრეთვე სამუშაო ჯგუფში მუშაობა. სტანდარტული შუალედური და ფინალური გამოცდების მიღმა საბაუნის სადოქტორო პროგრამის სავალდებულო კურსები სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონის შეფასებისათვის იყენებს ინდივიდუალიზებული შეფასების შემდეგ კომპონენტებს: ჰერმენევტიკული კვლევა; შედარებითსამართლებრივი კვლევა; ისტორიულ-გენეტიკური კვლევა; სამართლის პირველადი წყაროს კვლევა (ნორმის კომენტარი); სამართლის მეორეული წყაროს კვლევა (სასამართლო გადაწყვეტილების სამეცნიერო ანალიზი), სამართლის მეორეული წყაროს კვლევა (სამეცნიერო-კვლევითი ნაშრომის ანალიზი). ზეპირი გამოკითხვა (სტატიების ანალიზი), პრეზენტაცია, წერითი პროექტი (ანგარიში). სასემინარო/პრაქტიკული მეცადინეობის ელემენტების შეფასება, სალექციო კურსისა და საგამოცდო მასალის მომზადება, დოქტორანტის მიერ გასწორებული ნაშრომების შეფასება. სადოქტორო ნაშრომის სტრუქტურული ელემენტების მოდელირება, სასემინარო ნაშრომის ხელმძღვანელის მიერ შეფასება და რეცენზენტის მიერ ნაშრომის შეფასება, სადისერტაციო საბჭოს მიერ კოლოკვიუმის საჯარო შეფასება, დაბოლოს, თავად სადოქტორო ნაშრომის შეფასება.

აქვე აღსანიშნავია, რომ უსდ-ს ადმინისტრაციისა და სამართლის ფაკულტეტის /სადოქტორო სკოლის პროგრამული ხედვის გათვალისწინებით, სადოქტორო პროგრამის სამიზნე ნიშნულების მიღწევად საერთო ჯამში ჩაითვლება სადოქტორო ნაშრომის წარმატებით დაცვა. (იხ. სამართლის სადოქტორო პროგრამა, გვ.8, სქოლიო 1).

სილაბუსებში მითითებული ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალა შეესაბამება კურსის სწავლის შედეგებს და თავის მხრივ უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. აღსანიშნავია, რომ პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით, დოქტორანტურის სასწავლო კურსები გვთავაზობს ძირითად ლიტერატურას სამ ენაზე (ინგლისური, ფრანგული, გერმანული), ეს უკანასკნელი თანხვედრილია დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების ენობრივ წინაპირობებთან (ინგლისური/გერმანული/ფრანგული ენის არანაკლებ B2 დონეზე ცოდნის დადასტურება).

• კურსების სრული მოცულობა მიემართება სადოქტორო დისერტაციის წარმატებით შესასრულებლად აუცილებელ რომელიმე უნარს ან კომპეტენციას, რაც თავის მხრივ,

სახავს სტანდარტებთან თავსებადი და შედეგზე ორიენტირებული თანამედროვე საკვალიფიკაციო ნაშრომის შექმნის წინაპირობას. ვინაიდან სადოქტორო საფეხურის სამართლის პროგრამა უსდ-სთვის ახალი გამოწვევაა, კურსების შინაარსის, სწავლა-სწავლების მეთოდების, სწავლის შედეგის მიღწევის დონის შეფასების კომპონენტების ეფექტიანობის ხარისხის შეფასება, თავად უსდ-ს ხედვის შესაბამისად, მხოლოდ რეალური საკვლევე პროდუქტის ხარისხით გაიზომება. პროგრამის სტრუქტურის ლოგიკის, საგნების პროპორციის, შინაარსისა და დემონსტრირებული მიდგომების გათვალისწინებით, ამ ეტაპზე ექსპერტთა ჯგუფის წევრების აზრით, საბაუნის სამართლის სადოქტორო პროგრამას წარმატების გონივრული პერსპექტივა აქვს.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- სამართლის სადოქტორო პროგრამა;
- საგანმანათლებლო პროგრამის სილაბუსები;
- თვითშეფასების ანგარიში;
- ინტერვიუს შედეგები.

**რეკომენდაციები:**

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

**შეფასება**

შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

**2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება**

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

### **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

სამართლის სადოქტორო პროგრამის ფარგლებში წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის და მასზე თანდართული დოკუმენტაციის შესწავლის, ასევე, აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, გამოიკვეთა, რომ სამართლის სადოქტორო პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო, კვლევითი, შემოქმედებითი, საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და მათ კვლევით პროექტებში ჩართვას. პროგრამა მოიცავს ისეთ სასწავლო კურსებს, რომლებიც მიმართულია სტუდენტის მიერ მიღებული თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარის განვითარება-განმტკიცებაზე, რაც ემსახურება არჩეული დისციპლინების შესაბამისად, სტუდენტის მიერ მიღებული ცოდნისა და პრაქტიკული უნარების და, ზოგადად სწავლის შედეგების განმტკიცებას. პრაქტიკული, სამეცნიერო, კვლევითი, შემოქმედებითი, საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას ხელს უწყობს უნივერსიტეტისა და შესაბამის ორგანიზაციებსა თუ ინსტიტუციებს შორის გაფორმებული მემორანდუმები. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ინტერვიუს შედეგებით დასტურდება, რომ უნივერსიტეტის ხელშეწყობით, სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ მონაწილეობა მიიღონ სამეცნიერო-კვლევით აქტივობებში, რომლებიც პრაქტიკული უნარების გაღრმავებას/განვითარებას უწყობს ხელს. სამეცნიერო-კვლევით პროექტში მონაწილეობისას, სტუდენტებს ხელმძღვანელობას გაუწევენ დარგის კვალიფიციური სპეციალისტები, რომლებიც ახორციელებენ სტუდენტების მოსწრება-აქტიურობის მონიტორინგს.

უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური საშუალებების სახით, პროგრამის სტუდენტებისთვის უზრუნველყოფილია თანამედროვე, კომპიუტერული სისტემით აღჭურვილი სამუშაო ოთახები, საბიბლიოთეკო სივრცე. უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური საშუალებები სტუდენტებს ხელს უწყობს თავიანთი პროფესიისთვის აუცილებელი უნარ-ჩვევების გაღრმავებაში. სტუდენტებისათვის ხელმისაწვდომია თანამედროვე აღჭურვილობის საბიბლიოთეკო სივრცეები სადაც დაწესებულებას აქვს წვდომა ავტორიტეტულ საერთაშორისო ელექტრონული საბიბლიოთეკო ბაზებზე, სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა მონაწილეობა მიიღონ როგორც საუნივერსიტეტო, ასევე ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში. უნივერსიტეტის სამეცნიერო პროექტების ფარგლებში ქვეყნდება ნაშრომები/მონოგრაფიები, პროფესორ-მასწავლებლების ხელმძღვანელობით დამუშავებული სტატიები, კვლევები. დაწესებულება მაქსიმალურად უცხადებს მხარდაჭერას სტუდენტებს და საჭიროების შემთხვევაში აქვს შესაბამისი რესურსი, ყავს პარტნიორი ორგანიზაციები, რომელთა მხარდაჭერით შეუძლია გამოყოს დაფინანსება/სტიპენდია პარტნიორ ორგანიზაციების თანადაფინანსებით, კვლევითი კომპონენტის თუ სამეცნიერო პროექტის მხარდასაჭერად.

მიუხედავად ზემოთ აღნიშნულისა, ინტერვიუს შედეგების გათვალისწინებით, პარტნიორებთან დადებული ხელშეკრულებების/მემორანდუმების ანალიზი ცხადყოფს, რომ სასურველია ქართულ ორგანიზაციებთან და დაწესებულებებთან თანამშრომლობის გაუმჯობესება, მეტი პარტნიორების შექმნა და მათთან ქართული თავისებურებების გათვალისწინებით გამოცდილების გაზიარება. დაწესებულებას აქვს კარგი კომუნიკაცია ქართულ საგანმანათლებლო და კვლევით სივრცეში მოღვაწე ორგანიზაციებთან და პირებთან, თუმცა ოფიციალური თანამშრომლობის კუთხით გარკვეულ ნაწილთან არ

|   |
|---|
| გააჩნია ხელშეკრულება.   |
| <p><b>მტკიცებულებები/ინდიკატორები</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• სამართლის სადოქტორო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;</li> <li>• სამართლის სადოქტორო პროგრამის დებულება;</li> <li>• სამართლის სადოქტორო პროგრამა;</li> <li>• სამართლის სადოქტორო პროგრამის სილაბუსები;</li> <li>• პარტნიორ ორგანიზაციებთან და ინსტიტუციებთან გაფორმებული მემორანდუმები;</li> <li>• აკრედიტაციის ექსპერტთა ვიზიტისას განხორციელებული ინტერვიუ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ადმინისტრაციასთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, დამსაქმებლებთან;</li> <li>• მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერება;</li> <li>• <a href="#">უნივერსიტეტის ვებგვერდი</a>;</li> </ul> |
| <p><b>რეკომენდაციები:</b></p> <p>-</p>  |
| <p><b>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• სასურველია გაძლიერდეს თანამშრომლობა ქართულ სამეცნიერო-კვლევით, საგანმანათლებლო და სხვა ორგანიზაცია/დაწესებულებებთან და გაფორმდეს შესაბამისი მემორანდუმები.</li> </ul>   |
| <p><b>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</b></p> <p>-</p>  |
| <p><b>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</b></p> <p>-</p>  |
| <p><b>შეფასება</b></p> <p><input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>  |

|  |
|--|
| <p><b>2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები</b></p>  |
| <p>პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის</p> |

შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

### სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საკრედიტაციოდ წარმოდგენილი სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურაში (2,3 გვ.) დათმობილია სწავლება-სწავლის მეთოდების აღწერას. ზოგადად, დოქტორანტურის დებულებიდან გამომდინარე, დაწესებულების სადოქტორო პროგრამაზე სწავლა დაყოფილია სასწავლო და კვლევით კომპონენტებად. სწავლებისთვის გამოიყენება ისეთი მეთოდები და აქტივობები, როგორცაა: ლექცია, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, პრაქტიკული მუშაობა, სემინარი და ელექტრონული რესურსით სწავლება. პროგრამით განსაზღვრულია, რომ თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსი ითვალისწინებს სასწავლო კურსის მიზნის მისაღწევ გზებს (მეთოდებს), რაც სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების პრინციპებს ეფუძნება. სწავლების მეთოდების შერჩევასას გაითვალისწინება სასწავლო კურსის სპეციფიკა, მოცულობა, მიზანი და სავარაუდო შედეგი - რა უნდა იცოდეს და რისი გავლენა შეძლოს სადოქტორო პროგრამის სტუდენტმა. სასწავლო კურსის სილაბუსებით გათვალისწინებული სწავლება-სწავლის მეთოდები ხელს უწყობს კონკრეტული მასალის ათვისებას და ავითარებს სტუდენტის ტრანსფერულ უნარებს.

ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს, საგანმანათლებლო პროგრამის, სასწავლო კურსის სილაბუსების შინაარსის, სწავლება-სწავლის მეთოდების, თემატიკის აქტივობებისა და მეთოდების შედარების, სასწავლო პროცესში ჩართულ და დაინტერესებულ პირებთან ინტერვიუს გზით იკვეთება, რომ პერსონალის მიერ გამოყენებულია, უმაღლესი განათლების მესამე საფეხურისთვის ვალიდური, შემოქმედებითი, სისტემური და ანალიტიკური ცოდნის და უნარების უზრუნველყოფელი მეთოდები, დაცულია სასწავლო კურსის თავისებურებები/სპეციფიკა (თეორიული და პრაქტიკული ხასიათი), თითოეული სასწავლო კურსის სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება აკადემიური უმაღლესი განათლების სადოქტორო საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

დაწესებულებას გააჩნია გამოცდილება და პრაქტიკა სტუდენტთა მხარდაჭერის უზრუნველყოფისათვის. დოქტორანტურის დებულების მე-4 თავის შესაბამისად (მე-15, მე-16 მუხლები) დოქტორანტურის თითოეული სტუდენტი ჩარიცხვიდან ერთი თვის განმავლობაში, სამეცნიერო ხელმძღვანელთან და სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელთან შეთანხმებით ადგენს სასწავლო და კვლევით ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს (ფორმები დამტკიცებულია და ერთვის დოქტორანტურის დებულებას: დანართები:1.3 და 1.4). თითოეული სტუდენტი პროგრამის მოთხოვნების ფარგლებში სარგებლობს არჩევანის თავისუფლებით.

დაწესებულების ადმინისტრაციულ, დამხმარე და აკადემიურ პერსონალს აქვს გამოცდილება მოქნილად მიუსადაგონ ინდივიდუალური საჭიროების მქონე სტუდენტებს სწავლება-სწავლის მეთოდები, საჭიროებისას შეიმუშაონ და განახორციელონ სემესტრული ინდივიდუალური სასწავლო გეგმა. მიუხედავად არსებული პრაქტიკისა, ფორმალურ დონეზე არასაკმარისად არ არის ჩამოყალიბებული ინდივიდუალური საჭიროების სტუდენტებისთვის ინდივიდუალური პროგრამის შედგენის მკაფიო და დეტალური წესები.

პროგრამა ითვალისწინებს ისეთი სტუდენტების პროგრამაზე დაშვების შესაძლებლობას, რომლის მშობლიური ენა არ არის ქართული. ასეთ შემთხვევაში პრი ვალდებულია წარადგინოს ქართული ენის B2 დონის დამადასტურებელი სერტიფიკატი, ან ჩააბარებს გამოცდას ქართულ ენაში, უნივერსიტეტის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად. მოცემულ ეტაპზე პროგრამას არ ყავს სტუდენტი და ზოგადად უცხოელი სტუდენტების სიმწირის გამო არ არსებობს შესაბამისი კულტურულ და/ან სხვა საჭიროებების სწავლება-სწავლის და შეფასების მეთოდების ჩამოყალიბებისათვის პირობების უზრუნველყოფის აუცილებლობა, თუმცა აკადემიური და მოწვეული პერსონალის გამოცდილება და საერთაშორისო აქტივობები, იძლევა იმის სარწმუნო განცდას, რომ აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალი მარტივად შეძლებს ასეთი სტუდენტების კულტურული და/ან სხვა საჭიროებების სწავლება-სწავლის და შეფასების მეთოდების ჩამოყალიბებას.

- მტკიცებულებები/ინდიკატორები**
- საგანმანათლებლო პროგრამა;
  - საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, განვითარების მეთოდოლოგია და მისი დამტკიცების წესი;
  - დოქტორანტურის დებულება;
  - სასწავლო კომპონენტების სილაბუსები;
  - ინტერვიუს შედეგები;

**რეკომენდაციები:**

-

- რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**
- მიზანშეწონილია დაზუსტდეს და უფრო კონკრეტულად გაიწეროს შესაბამის საუნივერსიტეტო აქტებში, აკრედიტაციის სტანდარტის მოთხოვნის თანახმად, საჭიროების შემთხვევაში სტუდენტის ინტერესებისა და აკადემიური მომზადების დონის შესაბამისად შედგენილი ინდივიდუალური პროგრამის შემუშავებისა და რეგულირების პროცედურები.

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

-

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

-

- შეფასება**
- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან



ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 2.6. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

### სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სამართლის სადოქტორო პროგრამის ფარგლებში წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის და მასზე თანდართული დოკუმენტაციის შესწავლის, ასევე, აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით გამოიკვეთა, რომ სტუდენტების ცოდნის შეფასებისას გამოიყენება შეფასების კანონით დადგენილი კრიტერიუმები; პროგრამის განხორციელებისა და სასწავლო დისციპლინების სწავლებისას, თითოეულ დისციპლინაში სტუდენტის მოსწრება ფასდება ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემის (ECTS) და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებით დამტკიცებული “უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის” შესაბამისი შეფასების სისტემით.

შეფასების ფორმები, კომპონენტები და მეთოდები გამოქვეყნებულია და წინასწარ ცნობილი სტუდენტისათვის. სწავლის შედეგების მიღწევის დონის შეფასება მოიცავს შუალედურ და ფინალურ შეფასებას, რომელთა ჯამი წარმოადგენს დასკვნით შეფასებას - 100 ქულას. შეფასების ფორმა ითვალისწინებს მინიმალური კომპეტენციის ზღვარს. სტუდენტთა შეფასების ზოგადი წესი კანონთან შესაბამისია, რაც დასტურდება პროგრამის ფარგლებში წარმოდგენილი სასწავლო კურსების სილაბუსებით, პროგრამით, პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან ინტერვიუებით.

უსდ-ს მიერ სტუდენტის ცოდნის შეფასებისას გამოიყენება შეფასების გამჭვირვალე კრიტერიუმები, რაც უზრუნველყოფს სტუდენტის ინფორმირებულობას მიღწეული შედეგების, არსებული ნაკლოვანებებისა და პროგრესის გზების შესახებ, რაც, თავის მხრივ, განაპირობებს უკუკავშირს. უკუკავშირის მეშვეობით დადგინდება, რამდენად გამართულად, ხარისხიანად, შედეგზე ორიენტირებულად მიმდინარეობს სასწავლო პროცესი დაწესებულებაში.

სამართლის სადოქტორო პროგრამის ფარგლებში წარმოდგენილ სილაბუსებში შეფასების კრიტერიუმები გამჭვირვალეა, დისციპლინის სპეციფიკის და მახასიათებლების გათვალისწინებით იკითხება აკადემიური პერსონალის ინდივიდუალიზში. შეფასების კრიტერიუმები მოიცავს შუალედურ და დასკვნით შეფასებას. შეფასების ფორმები მოიცავს შეფასების კომპონენტს/კომპონენტებს, რომელიც განსაზღვრავს სტუდენტის ცოდნის ან/და უნარის ან/და კომპეტენციების შეფასების ხერხს/ხერხებს (ზეპირი/წერილი გამოცდა, ზეპირი/წერილი გამოკითხვა, საშინაო დავალება, პრაქტიკული/თეორიული სამუშაო და სხვ.). შეფასების კომპონენტი აერთიანებს შეფასების ერთგვაროვან მეთოდებს (ტესტი,

ესე/ესეი, დემონსტრირება, პრეზენტაცია, დისკუსია, პრაქტიკული/თეორიული დავალების შესრულება, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, დისკუსიაში მონაწილეობა, კაზუსის ამოხსნა, იმიტირებულ პროცესში მონაწილეობა და სხვ). შეფასების მეთოდი/მეთოდები იზომება შეფასების კრიტერიუმებით ანუ შეფასების მეთოდის საზომი ერთეულით, რითაც დგინდება სწავლის შედეგების მიღწევის დონე.

შეფასების თითოეულ ფორმასა და კომპონენტს შეფასების საერთო ქულიდან (100 ქულა) განსაზღვრული აქვს ხვედრითი წილი საბოლოო შეფასებაში, რაც აისახება კონკრეტულ სილაბუსში და ეცნობება სტუდენტს სასწავლო სემესტრის დასაწყისში. დაუშვებელია კრედიტის მინიჭება შეფასების მხოლოდ ერთი ფორმის (შუალედური ან დასკვნითი შეფასება) გამოყენებით. სტუდენტს კრედიტი ენიჭება მხოლოდ დადებითი შეფასების მიღების შემთხვევაში.

სამართლის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული საგნების სილაბუსებში წარმოდგენილი სტუდენტთა შეფასების კრიტერიუმები სრულად შეესაბამება სასწავლო კურსის შინაარსს და უზრუნველყოფს სადოქტორო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების სრულად მიღწევას. წარმოდგენილი მეთოდებით, სტუდენტების შეფასების ნაწილის დამუშავება სილაბუსებში სტუდენტს აძლევს შესაძლებლობას წინასწარ, ცხადად ჰქონდეს ამომწურავი ინფორმაცია, თუ როგორ, რა ფორმით და რა კრიტერიუმებზე დაყრდნობით ხდება მათი შეფასება კონკრეტული აქტივობების გათვალისწინებით, პროგრამით განსაზღვრულ სავალდებულო და არჩევით საგნებში. დოქტორანტურის დებულების 28-ე მუხლის თანახმად, სადისერტაციო ნაშრომის შეფასება ხორციელდება სადისერტაციო კომისიის წევრების მიერ, ერთჯერადად, კონფიდენციალურად, ასქულიანი სისტემით. სადისერტაციო კოლეგიის თითოეული წევრი დისერტაციას აფასებს შედეგის მიღწევის დადგენილი შეფასების მეთოდებისა და კრიტერიუმების შესაბამისად. დისერტაციის შეფასებისთვის გამოიყენება ხუთი დადებითი და ორი უარყოფითი შეფასება. დისერტაციის დადებითი შეფასება წარმოებს შემდეგი სისტემის მიხედვით:

ფრიადი (*summa cum laude*) – შესანიშნავი ნაშრომი – 91 ქულა და მეტი; ძალიან კარგი (*magna cum laude*) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აღემატება – 81-90 ქულა; კარგი (*cum laude*) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს აღემატება - 71-80 ქულა; საშუალო (*bene*) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აკმაყოფილებს – 61-70 ქულა; დამაკმაყოფილებელი (*rite*) – შედეგი, რომელიც, ხარვეზების მიუხედავად, წაყენებულ მოთხოვნებს მაინც აკმაყოფილებს – 51-60 ქულა.

დისერტაციის უარყოფითი შეფასება წარმოებს შემდეგი სისტემის მიხედვით:

არადამაკმაყოფილებელი (*insufficienter*) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს მნიშვნელოვანი ხარვეზების გამო ვერ აკმაყოფილებს – 41- 50 ქულა; სრულიად არადამაკმაყოფილებელი (*sub omni canone*) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს სრულიად ვერ აკმაყოფილებს – 40 ქულა და ნაკლები.

დადებითი შეფასების მიღების შემთხვევაში დისერტაცია მიიჩნევა დაცულად. ხოლო, არადამაკმაყოფილებელი (*insufficienter*) შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტს ენიჭება ერთი წლის განმავლობაში გადამუშავებული სადისერტაციო ნაშრომის წარდგენის უფლება. ამ მიზნით, მას უფლება აქვს შედეგის გამოცხადებიდან ერთი თვის განმავლობაში სადისერტაციო საბჭოს სამდივნოს წარუდგინოს განცხადება ნაშრომის გადამუშავებისა და დისერტაციის განმეორებითი დაცვის მოთხოვნით. სრულიად

არადამაკმაყოფილებელი (sub omni canone) შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტი კარგავს იმავე სადისერტაციო ნაშრომის წარდგენის უფლებას და უწყდება დოქტორანტის სტატუსი. სადისერტაციო კომისიის თავმჯდომარე სხდომის დასრულებისთანავე საჯაროდ აცხადებს კომისიის დასაბუთებულ საბოლოო გადაწყვეტილებას. დოქტორანტს უფლება აქვს, გაეცნოს სადისერტაციო კომისიის საბოლოო წერილობით გადაწყვეტილებას.

დოქტორანტურის დებულების 29-ე მუხლის თანახმად, დადებითი შეფასების მიღების შემთხვევაში პირს სადისერტაციო საბჭო ანიჭებს დოქტორის აკადემიურ ხარისხს, რაც დადასტურებული იქნება მისთვის დოქტორის დიპლომის გაცემით. დოქტორის აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დიპლომი გაცივდება უნივერსიტეტის მიერ. დიპლომის და დიპლომის დანართის გაფორმება მოხდება უნივერსიტეტში დადგენილი წესის შესაბამისად. დიპლომს ხელს აწერს სადოქტორო სკოლის ხელმძღვანელი და უნივერსიტეტის რექტორი.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- უსდ-ს სამართლის სადოქტორო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- სამართლის სადოქტორო პროგრამა;
- სამართლის სადოქტორო პროგრამის დებულება;
- სამართლის სადოქტორო პროგრამის სილაბუსები;
- ექსპერტთა ვიზიტის დროს განხორციელებული ინტერვიუ - დაწესებულების ადმინისტრაციასთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან.

**რეკომენდაციები:**

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

**შეფასება**

შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

|  |
|--|
|  |
|--|

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტი   | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|------------------------------|---------------------------------------|---|-------------------------------------|
| სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა | ✓                            |                                       |   |                                     |

### 3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

#### 3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება

სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.

##### სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სამართლის სადოქტორო პროგრამის ფარგლებში წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის და მასზე თანდართული დოკუმენტაციის შესწავლის, ასევე, აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, გამოიკვეთა შემდეგი გარემოებები: უსდ-ს მიერ განსაზღვრული სწავლის პროცესის რეგულირების წესი და პირობები, შიდასამართლებრივი აქტებით, ადვილად გასაგები და მარტივად ხელმისაწვდომია. სტუდენტებს შესაძლებლობა ექნებათ მიიღონ კონსულტაცია და მხარდაჭერა სასწავლო პროცესის დაგეგმვასთან, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებასთან, კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით. დაწესებულების მიერ უზრუნველყოფილია სტუდენტებისთვის ინფორმაციის მიწოდება უნივერსიტეტში არსებული კონსულტაციებისა თუ სხვა მხარდამჭერი აქტივობების შესახებ. სტუდენტებს საშუალება ექნებათ წინასწარ გაეცნონ სასწავლო კურსების შესახებ ინფორმაციას და მასზე დაყრდნობით აირჩიონ მათთვის სასურველი დისციპლინა. სტუდენტებს, სასწავლო პროცესის მიმდინარეობასთან დაკავშირებით მიეწოდებათ დეტალური ინფორმაცია და შესაძლებლობა ექნებათ ქონდეთ კომუნიკაცია, როგორც დაწესებულების ადმინისტრაციასთან, აკადემიურ თუ მოწვეულ პერსონალთან, ასევე წვდომა სასწავლო კურსით განსაზღვრულ მასალებზე, მრავალფეროვან საბიბლიოთეკო რესურსებზე, სასწავლო გეგმასა და აკადემიურ კალენდარზე. უნივერსიტეტის ელექტრონული პორტალის მეშვეობით, ყველა სერვისის ხელმისაწვდომობა მოქნილი და კომფორტულია. უსდ-ს მიერ, დამსაქმებელთა და პროფესორ-მასწავლებლების შეფასებებით მიღებული უკუკავშირის შესაბამისად, პროგრამით განსაზღვრული სავალდებულო და არჩევითი საგნები მაქსიმალურად ორიენტირებულია სწავლების თანამედროვე მეთოდების გამოყენებაზე.

ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით, დაწესებულებას განსაზღვრული აქვს სტრატეგია, რომელიც ითვალისწინებს სტუდენტების, აკადემიური თუ მოწვეული პერსონალის მობილობას საზღვარგარეთ პარტნიორ უნივერსიტეტებში, კვლევით პროექტების დაფინანსებას/თანადაფინანსებას.

პროგრამის მიზნები და სწავლის შედეგები ორიენტირებულია თანამედროვე შრომის ბაზარზე არსებულ საჭიროებებზე. უსდ მხარს უჭერს სტუდენტებს საკუთარი ინდივიდუალური სასწავლო განრიგის ფორმირებაში; უსდ პროგრამის განხორციელების ფარგლებში გეგმავს წარმატებული სტუდენტების წახალისებას, სტიპენდიების გაცემას, მათი დაფინანსება/თანადაფინანსებას კვლევით პროექტებში, საერთაშორისო

კონფერენციებსა თუ სხვა ტიპის აქტივობებში. უსდ ჩართულია "ერაზმუს +" პროგრამაში ასევე, პარტნიორ საგანმანათლებლო დაწესებულებებთან თანამშრომლობის დიდი გამოცდილება აქვს. უსდ ახორციელებს კარიერული განვითარებისთვის მხარდამჭერ ღონისძიებებს. უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას აქვს კარგი გამოცდილება ადგილობრივი და საერთაშორისო კვლევითი ფონდების მიერ გამოცხადებული საგრანტო კონკურსებში, სტუდენტების მონაწილეობის მხარდამჭერი ღონისძიებების განხორციელების შესახებ. სადოქტორო პროგრამის განხორციელების ფარგლებში, ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით, დაწესებულებამ გააღრმავა თანამშრომლობა საზღვარგარეთის პარტნიორ უნივერსიტეტებთან, ინსტიტუციებთან, ასევე პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი მზად არის, საერთაშორისო მობილობის ფარგლებში, საერთაშორისო კვლევითი ფონდების მიერ გამოცხადებულ კონკურსებში გაუწიოს მხარდაჭერა სტუდენტებს სტიპენდიების მოპოვებაში; უნივერსიტეტი მზად არის და აქვს შესაბამისი რესურსი, უზრუნველყოს სტუდენტების კონკურენტუნარიან კადრებად მომზადება, რათა მათ შეუფერხებლად შეეძლოთ გაცვლით პროგრამებში მონაწილეობა და პროგრამის ინტერნაციონალიზაციისთვის გათვალისწინებული მიზნების მიღწევა წარმატებით განხორციელდეს.

- მტკიცებულებები/ინდიკატორები**
- სამართლის სადოქტორო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
  - სამართლის სადოქტორო პროგრამა;
  - პროგრამის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი დოკუმენტი;
  - სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სილაბუსები;
  - სადოქტორო პროგრამის ბიუჯეტი;
  - პარტნიორ ორგანიზაციებთან და ინსტიტუციებთან გაფორმებული მემორანდუმები;
  - აკრედიტაციის ექსპერტთა ვიზიტისას განხორციელებული ინტერვიუ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ადმინისტრაციასთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, დამსაქმებლებთან;
  - მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერება;
  - [უნივერსიტეტის ვებ-გვერდი](#).

**რეკომენდაციები:**

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

**შეფასება**

შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

**3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა**

მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

სამართლის სადოქტორო პროგრამის ფარგლებში წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის და მასზე თანდართული დოკუმენტაციის შესწავლის, ასევე, აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, გამოიკვეთა შემდეგი გარემოებები: სამართლის სადოქტორო პროგრამის განხორციელება უზრუნველყოფილია შესაბამისი ადამიანური რესურსით. სადოქტორო პროგრამას ანხორციელებს და ხელმძღვანელობს აკადემირი ხარისხისა და მაღალი კვალიფიკაციის მქონე პროგრამის ხელმძღვანელი. პროგრამის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია და ის, რომ პროგრამის ხელმძღვანელს აქვს პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში, დასტურდება პირველ რიგში კვალიფიციურად შედგენილი პროგრამის მასალებით, ასევე დოკუმენტებით (თანდართული CV-ით) და მასთან ინტერვიუ-გასაუბრებით. უსდ სამართლის სადოქტორო პროგრამის თითოეულ სტუდენტს სთავაზობს კვალიფიციურ ხელმძღვანელს რომელსაც აქვს საკვლევი თემის შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი გამოცდილება. უსდ-ს დოქტურანტურის დებულებაში განსაზღვრული აქვს, თუ რა საკვალიფიკაციო მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს აკადემიური პერსონალი იმისათვის, რომ ისინი უფლებამოსილნი იყვნენ უხელმძღვანელონ სტუდენტს სადოქტორო ნაშრომზე მუშაობისას. აღსანიშნავია, რომ უსდ-ის მიერ აკრედიტაციის მიზნით წარმოდგენილი პროგრამა ორიენტირებულია სტუდენტთა კვლევითი უნარების გამომუშავებაზე/განვითარებაზე. კვლევითი ნაშრომის შესრულებას და მის საჯარო პრეზენტაციას წინ უძღვის კვლევითი უნარების განმავითარებელი სასწავლო კურსები, სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სავალდებულო სასწავლო კომპონენტი მიზნად ისახავს დოქტორანტის ცოდნის გაღრმავებას, მისი კვლევითი უნარების განვითარებას, მეთოდოლოგიურ დახელოვნებას, ხელს უწყობს დოქტორანტს სადისერტაციო ნაშრომის შესრულებაში და ამზადებს მას მომავალი პედაგოგიური და სამეცნიერო საქმიანობისათვის. სასწავლო კომპონენტის არჩევითი ელემენტების სწავლება მიზნად ისახავს, დოქტორანტს მისცეს შესაძლებლობა გაიღრმავოს ცოდნა, რაც მას დაემხარება პროფესიულ ზრდასა და განვითარებაში, აგრეთვე, საკვლევ თემასთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღებაში. დასრულებული სადისერტაციო ნაშრომის წარდგენის, მისი წინასწარი შეფასების, საჯარო დაცვისა და საბოლოო შეფასების პროცედურები დადგენილია სადოქტორო



|   |
|---|
| <p>პროგრამის დებულებით. სადისერტაციო ნაშრომის არქიტექტონიკა (სადისერტაციო ნაშრომის გაფორმების წესი), ასევე დასრულებული სადისერტაციო ნაშრომის შეფასების კრიტერიუმები დეტალურად არის განსაზღვრული შიდასამართლებრივი აქტებით. უსდ - პროგრამის განხორციელებისას უზრუნველყოფს სტუდენტების კმაყოფილების დადგენას, ანონიმური გამოკითხვის ფორმით, უკუკავშირის მიღების მიზნით. მსგავსი უკუკავშირის მეშვეობით დადგინდება, რამდენად გამართულად, ხარისხიანად, შედეგზე ორიენტირებულად მიმდინარეობს სადისერტაციო ნაშრომზე მუშაობის პროცესი.</p> |
| <p><b>მტკიცებულებები/ინდიკატორები</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• სამართლის სადოქტორო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;</li> <li>• სამართლის სადოქტორო პროგრამა;</li> <li>• დოქტურანტურის დებულება;</li> <li>• სამართლის სადოქტორო პროგრამის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი დოკუმენტი;</li> <li>• პროგრამის სილაბუსები;</li> <li>• სამართლის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის, მოწვეული და აკადემიური პერსონალის კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტები (CV).</li> </ul>                   |
| <p><b>რეკომენდაციები:</b></p> <p>-</p>  |
| <p><b>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</b></p> <p>-</p>   |
| <p><b>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</b></p> <p>-</p>  |
| <p><b>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</b></p> <p>-</p>  |
| <p><b>შეფასება</b></p> <p><input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>  |

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტი   | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|------------------------------|---------------------------------------|---|-------------------------------------|
| სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა | √                            |                                       |   |                                     |

#### 4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

##### 4.1 ადამიანური რესურსი

- პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია;
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას;
- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში;
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

##### სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

მისასაღმებელია, რომ სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის სამართლის სადოქტორო პროგრამის განხორციელებაში ჩართული პროგრამის კომპონენტის კურსების ხელმძღვანელები არიან გამოცდილი და კვალიფიციური პერსონალი. რაც გამოიხატება ასევე იმაშიც რომ, თითოეული პერსონალი აქამდეც იყო ჩართული სადოქტორო სწავლებაში, სხვადასხვა პროგრამასა და უნივერსიტეტში. როგორც აკადემიური პერსონალი, ისე მოწვეული ლექტორები, უმეტესწილად პრაქტიკულ საქმიანობასაც ახორციელებენ, რაც დადებითად უნდა შეფასდეს, ვინაიდან თეორიისა და პრაქტიკის სინთეზი საუკეთესო შედეგებს იძლევა.

წარმოდგენილი დოკუმენტაციით დგინდება, რომ სამართალმცოდნეობის სადოქტორო პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 5 პროფესორი, 13 ასოცირებული პროფესორი, 2 ასისტენტ-პროფესორი და 8 მოწვეული ლექტორი. პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის საერთო რაოდენობა არის 28, რომელთაგან 13 აფილირებული პერსონალია, მათგან 4 აფილირებული პროფესორი, 8 აფილირებული ასოცირებული პროფესორი , 1 აფილირებული ასისტენტ პროფესორი.

აკადემიური პერსონალი ფლობს სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელ კომპეტენციებს, რაც დგინდება მათი სამეცნიერო ხარისხებით, ბოლო 5 წლის სამეცნიერო ნაშრომებითა და პრაქტიკული გამოცდილებით.

სამართლის სადოქტორო პროგრამაზე იგეგმება 7 დოქტორანტის მიღება თითოეულ წელს.

უსდ-ს მიერ წარმოდგენილი პროგნოზის მიხედვით, 3 წლის შემდეგ დოქტორანტურის ყველა სემესტრში სტუდენტების არსებობის შემდგომ, პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის - დოქტორანტების რაოდენობასთან თანაფარდობა სავარაუდოდ უნდა იყოს 18/28. აღნიშნული მონაცემები სადოქტორო საფეხურისათვის კარგ მაჩვენებლად უნდა ჩაითვალოს. შესაბამისად, ეს თანაფარდობა საკმარისია პროგრამით დასახული მიზნების მისაღწევად.

პროგრამის განხორციელებაში ჩართული ადამიანური რესურსი აკმაყოფილებს შედეგის გამომუშავებისთვის აუცილებელი კომპეტენციას. აღნიშნული პერსონალის მიერ წარმოდგენილი სამეცნიერო/აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დიპლომები, პროფესიული გამოცდილების დამადასტურებელი საბუთები, გამოქვეყნებული სამეცნიერო შრომები, მონოგრაფიები, პუბლიკაციები და სხვა საჭირო დოკუმენტაცია.

ერთ ხელმძღვანელს თუ რამდენი დოქტორანტი შეიძლება ჰყავდეს არ არის დაწესებულების მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებში გაწერილი და ინტერვიუს შედეგებით დადგინდა, რომ წესრიგდება მხოლოდ ჩამოყალიბებული პრაქტიკის შესაბამისად. ამასთან ერთად ყურადღებას იმსახურებს პროგრამის განხორციელებაში მონაწილე აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის სემესტრულად განახლებადი დატვირთვის სქემის წარმოების/რეგულირების საკითხი. სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ინტერვიუს შედეგად ვერ იქნა სრულად და ამომწურავად იმის გარკვევა თუ როგორ (გარდა ჩამოყალიბებული პრაქტიკისა) და რა საუნივერსიტეტო დოკუმენტის საფუძველზე უზრუნველყოფს დაწესებულება პერსონალის დატვირთვის განაწილებას. შესაბამისად, რჩება კითხვები თუ როგორ (რომელი მარეგულირებელი დოკუმენტით) ხდება დაწესებულებაში, მათზე დაკისრებული ფუნქცია-მოვალეობებიდან გამომდინარე, აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის სასწავლო და/ან სამეცნიერო-კვლევითი დატვირთვის განსაზღვრა, აღრიცხვა და მონიტორინგი, მათ შორის ყველა იმ უსდ-ის მონაცემების გათვალისწინებით, სადაც ის არის დასაქმებული.

სამართლის სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელს აქვს კვალიფიციური ცოდნა და გამოცდილება, რათა გაუძღვეს დასახული მიზნებისა და შედეგების განხორციელებას. მას აქვს საქართველოს უნივერსიტეტებში კერძო სამართლის სწავლების მრავალწლიანი გამოცდილება. 2013 წლიდან სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორია. მისასალმებელია ასევე ის ფაქტიც, რომ სამართლის სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი პირადად მონაწილეობდა პროგრამის ჩამოყალიბებაში.

პროგრამის განხორციელებაში ჩართული ადმინისტრაციული პერსონალის რაოდენობა საკმარისია და ფარავს პროგრამის განსახორციელებლად საჭირო მოთხოვნებს. ჩართულია 45 ადმინისტრაციული პერსონალი, რაც საკმარისია პროგრამის 3 წლის განმავლობაში შესაძლო აქტიური სტატუსის მქონე 18 დოქტორანტის მომსახურებისათვის. ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მათ მიერ განსახორციელებელ ფუნქციებს.

უნივერსიტეტის ადმინისტრაციული, აკადემიური და მოწვეული პერსონალი უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას, ასევე, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობისა და მათზე დაკისრებული სხვა ფუნქციების ჯეროვან შესრულებას.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის დოქტორანტურის დებულება;
- აკადემიური პერსონალის პირადი მონაცემები;
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობრივი განსაზღვრის მეთოდოლოგია;
- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი დებულება;
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის დატვირთვის სქემა;
- ადმინისტრაციული პერსონალის პირადი საქმეები;
- უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში;
- ინტერვიუ;
- საგანმანათლებლო პროგრამის ბიუჯეტი;

**რეკომენდაციები:**

- რეკომენდებულია დაწესებულებამ მკაფიოდ ჩამოაყალიბოს და დაადგინოს შესაბამის საუნივერსიტეტო სამართლებრივ აქტებში, აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის სემესტრულად განახლებადი დატვირთვის სქემის მომწესრიგებელი პროცედურები, რომელიც საშუალებას მისცემს მას დააბალანსოს პერსონალის დატვირთვა, მათი ფუნქცია-მოვალეობების გათვალისწინებით, ყველა იმ უსდ-ის მონაცემების გათვალისწინებით სადაც არის დასაქმებული.

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- სასურველია პროგრამის ხელმძღვანელ(ებ)ს დაუწესდეთ დოქტორანტთა ხელმძღვანელობის მაქსიმალური რაოდენობრივი ზღვარი.

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

**შეფასება**

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

- დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს;
- უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

### სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის შესწავლის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, ასევე დოქტორანტურის პროგრამის შესწავლისა და დამუშავების შედეგად გამოიკვეთა შემდეგი გარემოებები:

უნივერსიტეტის ხარისხის მართვის სამსახური უზრუნველყოფს აკადემიურ/მოწვეულ პერსონალის ხარისხის მართვას შემდეგნაირად: აკადემიური/მოწვეული პერსონალის თვითშეფასება; სტუდენტის მიერ ლექტორის შეფასება; სტუდენტის აკადემიური მოსწრება. უსდ აღნიშნავს რომ მსგავსი მექანიზმი ეფექტურად უზრუნველყოფს აკადემიური/მოწვეული პერსონალის შემდეგი მიმართულებებით: დარგობრივი კომპეტენცია; ცოდნის გადაცემა; კურსის მართვის უნარი; პროგრამის ეფექტურად დაგეგმვისა და შემუშავების უნარი; მიღებულ შედეგებს ხარისხის მართვის სამსახური აანალიზებს და იყენებს როგორც პროგრამების განვითარების, ასევე წახალისების მექანიზმების გამოყენების მიზნით. პერსონალთან ურთიერთობას რეგულარული ხასიათი აქვს.

უსდ-სთან ვიზიტის დროს გამოირკვა, რომ აკადემიური/მოწვეული პერსონალისთვის უზრუნველყოფს საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობას, წიგნების გამოცემასა და სამეცნიერო ჟურნალებში სტატიების გამოქვეყნებას უზრუნველყოფს. გამოკითხვებით დგინდება, რომ აკადემიურ/მოწვეულ პერსონალს აქვს მაქსიმალური ხელშეწყობა მისი მოვალეობის შესრულების უზრუნველყოფისათვის.

მისასალმებელია, რომ უნივერსიტეტის მართვის პოლიტიკა მოქნილია და ზრუნავს პერსონალის კეთილდღეობაზე, აღნიშნული დასტურდება, უსდ-ს მიერ წარმოდგენილი დოკუმენტითა და ინტერვიუს შედეგებით.

მოწვეულ/აკადემიურ პერსონალს კონკრეტულად სადოქტორო პროგრამის ფარგლებში პროფესიული განვითარების თვალსაზრისით კონკრეტული გეგმებზე ინფორმაცია არ აქვთ. თუმცა აღნიშნავენ რომ სხვა საფეხურების ფარგლებში უსარგებლიათ პროფესიული განვითარებით.

### მტკიცებულებები/ინდიკატორები

- უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში;

|  |
|--|
| <ul style="list-style-type: none"> <li>• ინტერვიუ;</li> <li>• საგანმანათლებლო პროგრამის ბიუჯეტი;</li> <li>• ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები, შეფასების შედეგები და მათი გამოყენების წესი;</li> <li>• აკადემიური და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარების მიზნით განხორციელებული/განსახორციელებელი ღონისძიებები.</li> <li>• საერთაშორისო თანამშრომლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;</li> <li>• პროგრამების მიხედვით აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია;</li> <li>• პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობის შეფასების წესი;</li> <li>• აკადემიური/მოწვეულის პერსონალის შეფასების ანგარიში;</li> <li>• თანამშრომლობის მემორანდუმები.</li> </ul> |
| <b>რეკომენდაციები:</b>   |
| <b>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</b>  |
| <b>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</b>   |
| <b>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</b>   |
| <b>შეფასება</b><br><br><input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან  |

|  |
|--|
| <b>4.3 მატერიალური რესურსი</b>   |
| <p>პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.</p> |

## სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის შესწავლის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, ასევე სადოქტორო პროგრამის შესწავლისა და დამუშავების შედეგად გამოიკვეთა შემდეგი გარემოებები: ვინაიდან ვიზიტი განხორციელდა დისტანციურად, უსდ გააჩნია თუ არა აუდიტორიები აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად, პირდაპირი წესით ვერ ირკვევა. თუმცა უსდ-ს მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებით ირკვევა, რომ აქვთ თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი აუდიტორიები. ეს ყოველივე ხელს უწყობს სწავლების პროცესის განხორციელებაში და დადებითად შესაფასებელია. ამავე დროს აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ექსპერტებს არ ჰქონდათ შესაძლებლობა თავად ენახათ დისტანციურად ან სხვა საშუალებით აუდიტორიები.

მოწვეულ/აკადემიურ პერსონალთან ინტერვიუს დროს ირკვევა, რომ უსდ აღჭურვილია აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკით, რაც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის სრულყოფილად წარმართვას.

მიუხედავად პანდემიისა, უსდ-მ უზრუნველყო ნორმატიული მასალისა თუ ლიტერატურის ელექტრონიკაციას (ასეთის არ არსებობის შემთხვევაში). ასევე დოქტორანტს საჭიროების შემთხვევაში ექნება შესაძლებლობა, დისტანციურად სახლიდანვე ჰქონდეს წვდომა ელექტრონულ ბიბლიოთეკებზე ან/და ბაზებზე, რომლის მომსახურებითაც უსდ სარგებლობს.

სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტი არის რამდენიმე ელ. პროგრამისა და ქართული საკანონმდებლო ელ. პორტალის ავტორიზებული მომხმარებელი. ბიბლიოთეკით სარგებლობა შეუძლია დოქტორანტს, რაშიც იგულისხმება, რომ ხელმისაწვდომია სივრცე, სადაც შეუძლია მუშაობა, რომელიც აღჭურვილია ინტერნეტითა და სამართლებრივი ლიტერატურით. საჭიროების შემთხვევაში ბიბლიოთეკის ნოუთბუქით შეუძლია ისარგებლოს. სავარაუდო ბიუჯეტით გათვალისწინებულია ყოველწლიურად სახელმძღვანელოების, წიგნების, ჟურნალების, რიდერების შეძენა/ბეჭდვა.

### მტკიცებულებები/ინდიკატორები

- უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში;
- ინტერვიუს შედეგები;
- საგანმანათლებლო პროგრამის ბიუჯეტი;
- საგანმანათლებლო პროგრამის ბიუჯეტი;
- ინფრასტრუქტურის ტექნიკური აღჭურვილობის და წიგნადი ფონდის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- საერთაშორისო ელექტრონულ საბიბლიოთეკო ქსელში ჩართულობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;



|  |
|--|
| <ul style="list-style-type: none"> <li>• ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი.</li> </ul>  |
| რეკომენდაციები:  |
| რჩევები პროგრამის განვითარებისთვის   |
| საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):  |
| მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)  |
| <p><b>შეფასება</b></p> <p><input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p> |

|   |
|---|
| <p><b>4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა</b></p>  |
| <p>პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.</p>  |
| <p><b>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</b></p> <p>პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის შესწავლის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად გამოიკვეთა შემდეგი გარემოებები: უსდ-ს მიერ მოწოდებული ბიუჯეტი განსაზღვრავს უნივერსიტეტის პრიორიტეტებს, ბიუჯეტით დგინდება, რომ პრიორიტეტი ენიჭება კვალიფიციური აკადემიური/მომსახურე პერსონალის მოზიდვას, რადგან ბიუჯეტის დიდი ნაწილი იხარჯება ანაზღაურებაში. ასევე გათვალისწინებულია სტუდენტური აქტივობებისთვის თანხები. ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადობა პანდემიის პირობებში იცვლება განსახორციელებელი აქტივობების ფორმა, თუმცა ყველაფრის მიუხედავად უსდ-ს მიზანი მიღწევადია. შესრულებული ბიუჯეტის დადასტურება ხდება ადმინისტრაციულ პერსონალთან ინტერვიუს შედეგად. ბიუჯეტში</p> |

გაწერილია დაფინანსების წყაროები.

რადგან ბიუჯეტის წყაროს წარმოადგენს სწავლის საფასური და მოწოდებული ვარიანტი არის სავარაუდოდ შედგენილი, ჩნდება საფუძვლიანი შეკითხვა, რა მოხდება იმ შემთხვევაში თუ უსდ-ს მოლოდინი არ გამართლდება და იქნება უფრო ნაკლები დოქტორანტი ვიდრე ნავარაუდები იყო. როგორც ინტერვიუს შედეგად გაირკვა, უსდ-ს ცენტრალური ბიუჯეტი მზად არის მოახდინოს ფინანსების აკუმულირება და დოქტორანტურის საფეხურის მიზნებისთვის გადასროლა, იმ შემთხვევაში თუ ვარაუდი ვერ იქნება გამართლებული ან დამატებით ხარჯებს მოითხოვს პროგრამის განხორციელება. შესაბამისად უსდ-ს მიერ მოწოდებული ინფორმაციაზე დაყრდნობით რომ ვთქვათ, ცენტრალური ბიუჯეტიდან ხდება ამ კონკრეტული საფეხურის ბიუჯეტის დაზღვევა, იმ შემთხვევაში თუ ვერ შეივსება ან დამატებით ხარჯებს მოითხოვს. ეს ფაქტი რა თქმა უნდა მისასალმებელია, თუმცა სამწუხაროდ დოკუმენტურად გაწერილი არ არის.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში;
- ინტერვიუს შედეგები;
- პროგრამის ბიუჯეტი

**რეკომენდაციები:**

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

**შეფასება**

შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტი                         | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|-----------------------------------|------------------------------|---------------------------------------|---|-------------------------------------|
| სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა | √                            |                                       |   |                                     |

## 5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

### 5.1 შიდა ხარისხის შეფასება

პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

#### სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

შპს-სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის ხარისხის მართვის სამსახური მოქმედებს რა საკუთარი მოვალეობებისა და ფუნქციების არეალში, იცნობს და ეყრდნობა ყველა მნიშვნელოვან საერთაშორისო რეგულაციასა და დოკუმენტს, ადგენს უნივერსიტეტში საკუთარი მოქმედების პროცედურებსა და პროცესების აღმწერ დოკუმენტებს, რომლებიც მნიშვნელოვანია უნივერსიტეტში ხარისხის კულტურის ამაღლებისთვის. საუნივერსიტეტო ხარისხის მართვის სამსახური არის მნიშვნელოვანი ერთეული, რომელიც ზრუნავს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სიახლეებისა და ინოვაციების დაგეგმვისა და განვითარებისათვის. ის აფასებს, აანალიზებს კონკრეტულ პროცესებს და მაქსიმალურადაა ჩართული წინამდებარე პროცესების განვითარებაში და პასუხისმგებლობას იღებს მათი მართებულად განვითარებაში.

უნივერსიტეტის ხარისხის მართვის სამსახურს შემუშავებული აქვს ცალკეული დოკუმენტები, რომელიც აწესრიგებს და არეგულირებს შიდა აკადემიურ პროცესებს. მათ შორის უნდა დასახელდეს, ხარისხის მართვის სამსახურის დებულება, სადაც დეტალურად არის აღწერილი სამსახურის საქმიანობის არეალი, ფუნქციები, მიზნები და ამოცანები; უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, განვითარების მეთოდოლოგია და მისი დამტკიცების წესი და ასევე ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები, შეფასების შედეგები და მათი გამოყენების წესი. წინამდებარე საუნივერსიტეტო რეგულაციები მომზადებულია საერთაშორისო სახელმძღვანელო დოკუმენტების, საქართველოს კანონის უმაღლესი განათლების შესახებ, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციისა და უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტების, უნივერსიტეტის წესდების, მისიის, სტრატეგიული განვითარების გეგმის, სამოქმედო გეგმისა და სხვა საუნივერსიტეტო რეგულაციების საფუძველზე, რაც მიმართულია ინსტიტუციური ხარისხის მუდმივ განვითარებაზე.

შიდა ხარისხის შეფასება აგებულია კონკრეტული მექანიზმების საფუძველზე, რაც გულისხმობს უწინარესად საგანმანათლებლო პროგრამების, პროცესის, აკადემიური პერსონალის და სწავლის შედეგების მიღწევის ხარისხის გაუმჯობესებას. სამსახური წინამდებარე პროცესებს აწყობს PDCA-ის პრინციპით: დაგეგმე-განახორციელე-შეამოწმე-ირეაგირე.

საკრედიტაციო პროცედურისთვის შემუშავებულმა საგანმანათლებლო პროგრამამ

სამართალი ეტაპობრივად გაიარა ყველა ის ფაზა (ბაზრის კვლევა, პოტენციურ და აქტიურ სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა, დამსაქმებლების კვლევა), რომელიც გათვალისწინებული იყო დაგეგმვის საფეხურის ფარგლებში, რასაც მოჰყვა ის პროცედურა, რასაც გადის საგანმანათლებლო პროგრამა დაგეგმიდან თვითშეფასების დოკუმენტის შემუშავებამდე. წინამდებარე პროცესებს აქტიურად უძღვებოდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, მათში ჩართული იყვნენ სხვადასხვა დაინტერესებული ჯგუფები, პოტენციური სტუდენტები, აკადემიური და მოწვეული პერსონალი, დამსაქმებლები. პირველადი სამუშაოები დაიწყო 2019 წლიდან, ბაზრის კვლევა იყო ორიენტირი სტატისტიკური მონაცემების შესწავლაზე, ხოლო გამოკითხვებისა და ფოკუს-ჯგუფებთან მუშაობის მონაცემთა დამუშავებამ გარკვეულწილად ასახვა ჰპოვა საგანმანათლებლო პროგრამაში.

შემდეგი ფაზა დაიწყო უნივერსიტეტის რექტორის 2020 წლის 31 დეკემბრის N182-20 ბრძანების თანახმად შექმნილი თვითშეფასების მოსამზადებელი ჯგუფით, რომელიც დაკომპლექტდა ადმინისტრაციული, აკადემიური პერსონალისა და პოტენციური (სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის) სტუდენტებისაგან. ჯგუფის წევრებს შორის განაწილდა სამუშაო. სამუშაო ჯგუფის გამოკითხვების გარდა გამოყენებული იყო მუშაობა ფოკუს-ჯგუფებთან.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ წარმოდგენილი საუნივერსიტეტო წესებსა და რეგულაციებში, ასევე თვითშეფასების მე-5 სტანდარტის პირველი კომპონენტის დესკრიფციულ ნაწილში დადგინდა კონკრეტული უზუსტობა, რაც უდაოდ დასაკორექტირებელია, კერძოდ:

- საუნივერსიტეტო რეგულაციებსა და წესებში განმარტებულია, რომ ხარისხის მართვის სამსახურის, როგორც საუნივერსიტეტო ერთეულის მიზანს წარმოადგენს „უნივერსიტეტში სწავლებისა და კვლევის მაღალი ხარისხის უზრუნველყოფა, სწავლის, სწავლებისა და შეფასების მეთოდების საშუალებით.“

- სამსახური პასუხისმგებელია: „უნივერსიტეტის სწავლებისა და კვლევის დაბალ ხარისხზე.“

- სამსახურის დებულებაში მუხლი 1.1. მიუთითებს: [...] უზრუნველყოფს უნივერსიტეტში სწავლების მაღალი ხარისხის მაღალი დონის შენარჩუნებას; იქვე 3.1.: „ხელი შეუწყოს საბაუნში სწავლების და კვლევის ხარისხის ამაღლებას;“

წინამდებარე ჩანაწერში ყველგან ხაზგასმული უნდა იყოს ის ფაქტი, რომ უნივერსიტეტის ხარისხის მართვის სამსახური პასუხისმგებელია უწინარესად სწავლების ხარისხის შენარჩუნებაზე. რიგ შემთხვევაში ჩნდება ჩანაწერში *სწავლა* და ვფიქრობთ, ამჯერად დაგეგმილი ცვლილების გამო *კვლევა*ც, თუმცა მარეგულირებელი წესების გამართვის მიზნით საჭიროა გადაიხედოს დებულებები და მიეცეთ მათ სრულყოფილი ფორმა. შესაბამისად, გარდა სწავლა-სწავლებისა და კვლევის პროცესებისა, ხარისხის მართვის სამსახური ინსტიტუციაში კულტურის ამაღლების მიზნით ვალდებულია პერიოდულად იკვლიოს უნივერსიტეტის მართვისა და სერვისების ხარისხი. ეს დაწესებულებამაც იცის, რაც წარმოდგენილია ცალკეული გამოკითხვების შინაარსშიც, მაგრამ სასურველია წინამდებარე თემები აისახოს სრულყოფილად საუნივერსიტეტო რეგულაციებშიც. ვინაიდან, როდესაც ვაკვირდებით და ვაფასებთ უსდ-ს ხარისხის განვითარებას დინამიკაში, სწავლა-სწავლებისა და კვლევის განვითარება პრაქტიკულად შეუძლებელია მართვისა და სერვისების საკითხების განხილვის გარეშე, ისინი

ერთობლიობაში კომპლექსურად წარმოადგენს ინსტიტუციური განვითარების სქემას.

ასევე დამატებით გვსურს განვმარტოთ, რომ საგანმანათლებლო პროგრამის შედგენის პარალელურად შეუძლებელია პროგრამის განმახორციელებელმა ჯგუფმა იმუშაოს (თვითშეფასება 5.1: „[...] პროგრამის შემუშავების პარალელურად თვითშეფასების ჯგუფმა მუშაობა დაიწყო თვითშეფასების ანგარიშის ფორმაზე[...]“) თვითშეფასების დოკუმენტზე, ვინაიდან თვითშეფასების მოცემული სტანდარტებისა და მისი კომპონენტების აღმწერი რუბრიკებისთვის განკუთვნილი ველების შევსების მიზნით, პროგრამა და სასწავლო კურსები ფაქტობრივად სრულყოფილად უნდა იყოს წარმოდგენილი და შევსებული მტკიცებულებით ნაწილით, რომ თვითშეფასების ჯგუფმა სრულყოფილად შეაფასოს საგანმანათლებლო პროგრამა და მისი სასწავლო კომპონენტები (იხ. სტანდარტი 2).

ინტერვიუებმა ასევე აჩვენა, რომ რეალურად წინამდებარე სამუშაო ფაზები აქტიურად გასამიჯნია წინასააკრედიტაციო მოსამზადებელ პერიოდში გაწერილი სამუშაოების რეალისტურად და სრულყოფილად წარმართვის მიზნით.

შიდა ხარისხის შეფასების პროცესში აქტიურია აკადემიური და მოწვეული პერსონალი, სტუდენტები, საფაკულტეტო ადმინისტრაცია, ასევე პრაქტიკის ობიექტების წარმომადგენლები და შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამების განვითარებაში. სასურველია, რომ ეტაპობრივად და უფრო აქტიურად ტარდებოდეს ვორკშოპები პროგრამის განვითარებით დაინტერესებულ პირთათვის, მით უფრო, ყველა ზემოთ ჩამოთვლილი პირი აქტიურად მონაწილეობს ამ პროცესებში.

• შიდა შეფასების მასალების გაცნობამ აჩვენა, რომ ინსტიტუცია შიდა შეფასებას აღიქვამს, როგორც ინსტიტუციური განვითარების ერთ-ერთ კარგ შესაძლებლობად და გარე შეფასების ერთგვარ წინაპირობად.

### **მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- შპს-სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის რექტორის 2021 წლის, 6 აპრილის ბრძანება N63-21, დანართი 12. შპს - სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის ხარისხის მართვის სამსახურის დებულება;
- შპს-სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის რექტორის 2021 წლის, 26 აპრილის ბრძანება N86-21. შპს - სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, განვითარების მეთოდოლოგია და მისი დამტკიცების წესი;
- შპს-სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის რექტორის 2021 წლის, 27 აპრილის ბრძანება N89-21. შპს - სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები, შეფასების შედეგები და მათი გამოყენების წესი;
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კვლევები (გამოკითხვები);
- ვიზიტის პროცესში შემდგარი ინტერვიუები;
- ფაქტობრივი ვითარება.

### **რეკომენდაციები:**

### **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- გადაიხედოს და შეივსოს ინფორმაციით დაწესებულების ცალკეული

|   |
|---|
| <p>მარეგულირებელი და პროცედურის აღმწერი წესი (რომელზეც მსჯელობა გვექონდა დესკრიფციულ ნაწილში უწინარეს ყოვლისა), რაც მნიშვნელოვანია ინსტიტუციის სამომავლო ცვლილებისათვის;</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• ინსტიტუციაში ხარისხის კულტურის გაძლიერებისა და ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში მიმდინარე სიახლეებისა და გამოწვევების ინპლემენტაციის მიზნით სასურველია განათლების ქართველ და უცხოელ ექსპერტთა ჩართულობით მომზადდეს ვორკშოპები და სემინარები საგანმანათლებლო პროგრამაში მონაწილე აკადემიური და მოწვეული პერსონალის, სტუდენტებისა და დამსაქმებელთათვის.</li> </ul> |
| <p><b>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</b></p>   |
| <p><b>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</b></p>   |
| <p><b>შეფასება</b></p> <p><input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>  |

|  |
|--|
| <p><b>5.2 გარე ხარისხის შეფასება</b></p>   |
| <p>პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.</p>  |
| <p><b>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</b></p> <p>საგანმანათლებლო პროგრამის სრულფასოვანი გარე შეფასება ვერ განხორციელდა, ვიანიდან მისი წარმოდგენა ინსტიტუციის მხრიდან მოხდა პირველად სააკრედიტაციო ფორმატში. ინსტიტუცია გეგმავს აგრეთვე ანალოგიური პროგრამების წარდგენის საფუძველზე სტატუსის ცვლილებას. თუმცა მოცემულ ფორმატში ინსტიტუციამ მაქსიმალურად, საკუთარი ძალების მაქსიმალური ჩართულობით შეასრულა გარე შეფასების ცალკეული აქტივობები, რამაც განაპირობა საგანმანათლებლო პროგრამის შინაარსით ევროპულ სტანდარტებთან დაახლოება, რაც გამოიხატა კვლევითი კომპონენტის მაღალ ხარისხში.</p> <p>საგანმანათლებლო პროგრამამ ნაწილობრივ გაირა გარე შეფასებაც, თუ გავითვალისწინებთ, რომ გამოკითხულ იქნა მონათესავე პროგრამის კურსდამთავრებულები და ასევე დამსაქმებელთა ფართო სპექტრი. რომელთა</p> |

გამოკითხვებმა აჩვენა, რომ გამოკითხული მხარე დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის ძლიერ მხარედ მიიჩნევს კვლევითი კომპონენტების მოსამზადებელი სასწავლო კურსების მრავალფეროვნებას და ასევე შედარებითი მეთოდოლოგიით დარგის კვლევას.

ხარისხის გარე შეფასებისათვის მნიშვნელოვანი როლი ითამაშა შეხვედრამ სხვადასხვა უნივერსიტეტების ხარისხის სამსახურის ხელმძღვანელებთან, სამართლის პროგრამის ხელმძღვანელებსა და დარგობრივ აკადემიურ პერსონალთან, რომელთაც გარდა რჩევებისა და რეკომენდაციებისა, უსდ-ს წარმომადგენლებს გაუზიარეს საუკეთესო პრაქტიკებიც დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში.

საგანმანათლებლო პროგრამა კოლეგიური შეფასებისთვის მიწოდებულ იქნა სხვადასხვა უნივერსიტეტსა და დარგის ექსპერტს. ექსპერტთა დასკვნები წარმოდგენილი იყო სიდნეის (ავსტრალია) უნივერსიტეტის ასოცირებულ დეკანს, სარაგოსას (ესპანეთი) უნივერსიტეტის პროფესორს, პაზმან პეტერის კათოლიკური უნივერსიტეტის (ბუდაპეშტი, უნგრეთი) ასოცირებულ პროფესორს, რომელთა დასკვნებში დადებითადაა შეფასებული საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები, მიღწევადაა მიჩნეული შედეგები როგორც სასწავლო, ისე კვლევით კომპონენტში.

• საგანმანათლებლო პროგრამის გარე ხარისხის შეფასების ახალი ფაზა შესაძლებელია მომზადდეს იმ უცხოურ უნივერსიტეტებთან და იქ დასაქმებულ მაღალპროფესიონალურ და გამოცდილ კადრებთან ერთად, რომელთა მიერ გაწეულ კოლეგიურ რჩევებზე, არაერთგზის აღნიშნა შეხვედრის დროსაც, რაც ხელს შეუწყობდა საგანმანათლებლო პროგრამის განვითარებას.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- შპს-სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის რექტორის 2021 წლის, 27 აპრილის ბრძანება N89-21. შპს - სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები, შეფასების შედეგები და მათი გამოყენების წესი;
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კვლევები (დამსაქმებელთა, კურსდამთავრებულთა გამოკითხვები);
- გარე ექსპერტთა ანგარიშები და დასკვნები;
- ინტერვიუს შედეგები;
- ფაქტობრივი ვითარება.

**რეკომენდაციები:**

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**



## შეფასება

### შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

### 5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

#### სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

დაწესებულების ხარისხის მართვის სამსახურის მიერ შემუშავებულია და რექტორის 2018 წლის 25 ივნისის N62-18 ბრძანებით ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები, შეფასების შედეგები და მათი გამოყენების დოკუმენტი, რომელიც უნივერსიტეტის სტატუსის ცვლილებასთან დაკავშირებით დაექვემდებარა რედაქტირებას, თუმცა 5.1 კომპონენტში მივუთითეთ მისი გადახედვის აუცილებლობას კონკრეტული ჩანაწერების არათანმიმდევრულობის გამო.

საგანმანათლებლო პროგრამების მონიტორინგი უნივერსიტეტში მიმდინარეობს წელიწადში ერთხელ, რომელსაც აქვს კონკრეტული მეთოდოლოგია; ამ პროცესში მონაწილეობას იღებენ აკადემიური და მოწვეული პერსონალი, სტუდენტი და კურსდამთავრებული. შეფასების შედეგების ანალიზის შემდგომ დგინდება საგანმანათლებლო პროგრამის სუსტი და ძლიერი მხარეები, მისი გაზიარება ხდება პროგრამის განმახორციელებელ პირთათვის და მათთან ერთად მუშავდება სამოქმედო გეგმა პროგრამის სუსტი მხარეების გასაუმჯობესებლად და გაიწერება კონკრეტული ღონისძიებები.

გამომდინარე იქიდან, რომ საგანმანათლებლო პროგრამა ახალი, ის, ბუნებრივია მონიტორინგის პროცესს ვერ დაექვემდებარებოდა, ხოლო მისი ჩართვა მონიტორინგის პროცესში აკრედიტაციის შემდგომ მოხდება ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებისა და მასთან დაკავშირებული პროცედურების სრული დაცვით.

თუმცა ახალი პროგრამა არ ნიშნავს იმას, რომ პროგრამის განმახორციელებლებმა არ იზრუნეს კონკრეტული მიმართულებების კვლევებზე, კერძოდ, მათ შორის უნდა დასახელდეს საქართველოში არსებული ყველა სამართლის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის შედარებითი ანალიზი, ასევე შესაბამისი მასალების ანალიზი შერჩეული პარტნიორი უნივერსიტეტებიდან - ლუბლინის კათოლიკური უნივერსიტეტი (პოლონეთი), ლიონის კათოლიკური უნივერსიტეტი (საფრანგეთი), ნოტრ

დამის უნივერსიტეტი (აშშ). საუკეთესო პრაქტიკის ნიმუშად დასახელდა ჰარვარდის (აშშ), ოქსფორდისა (გაერთიანებული სამეფო) და ჰაიდელბერგის (გერმანია) უნივერსიტეტებში მოქმედ დარგობრივი ტრადიციები.

- სემესტრში ერთხელ განხორციელდება შედეგების საფუძველზე. საგანმანათლებლო პროგრამაში განხორციელებული გასაუმჯობესებელი ცვლილებების ქრონოლოგია მიუთითებს მასზე, რომ უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური მაქსიმალურად მხარს უჭერს საგანმანათლებლო პროგრამების გაუმჯობესებისა და სტანდარტიზების პროცესებს.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- შპს-სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის რექტორის 2021 წლის, 27 აპრილის ბრძანება N89-21. შპს - სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები, შეფასების შედეგები და მათი გამოყენების წესი;
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კვლევები (დამსაქმებელთა, კურსდამთავრებულთა გამოკითხვები);
- პროგრამის შეფასების შედეგები, გამოკითხვა;
- ვიზიტის პროცესში შემდგარი ინტერვიუები;
- ფაქტობრივი ვითარება.

**რეკომენდაციები:**

-

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

-

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

-

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

-

**შეფასება**

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტი                                      | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|--|------------------------------|---------------------------------------|---|-------------------------------------|
| სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები | ✓                            |                                       |   |                                     |

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება:

შპს - სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, საფეხური:

სამართალი/Law, დოქტორანტურა

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 56

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტები  | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|--|------------------------------|---------------------------------------|---|-------------------------------------|
| 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა | ✓                            |                                       |   |                                     |
| 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა     | ✓                            |                                       |   |                                     |
| 3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა                                   | ✓                            |                                       |   |                                     |
| 4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა   | ✓                            |                                       |   |                                     |





|   |   |  |  |  |
|---|---|--|--|--|
| 5. სწავლების ხარისხის<br>განვითარების<br>შესაძლებლობები | ✓ |  |  |  |
|---|---|--|--|--|

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის

ლევან ჯაყელი



აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის

| № | სახელი და გვარი         | ხელმოწერა  |
|---|-------------------------|--|
| 1 | თამარ ალექსიძე          |    |
| 2 | დავით<br>ელისაბედაშვილი |    |
| 3 | ნინო ქიმერიძე           |  |
| 4 | თათია უბერი             |  |